**თუ საქართველოს მოსახლეობის თუნდაც რაღაც ნაწილს ისევ გულზე ეხატება ქვეყნის დამაქცევარ და ადამიანების მწამებელ ნაციონალთა ბოროტი ხროვა, ასეთი საქართველო ვერასოდეს ტაძრისკენ მიმავალ გზაზე ვერ შედგება!**


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge




იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ოთხშაბათი, 29 ივნისი. 2016 წ. №119 (8011), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## საქართველოში ჰაერის დაბინძურების გამო

# ყოველი 100 ათასიდან 290 ადამიანი იღუპება!

**საერთაშორისო** ენერგეტიკულმა სააგენტომ მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების შესახებ 2016 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში 2012 წლის მონაცემებს ეყრდნობა.

დოკუმენტის თანახმად, საქართველოში ჰაერის დაბინძურების გამო ყოველი 100 ათასიდან 290 ადამიანი იღუპება; ჩინეთში — ყოველი 100 ათასი ადამიანიდან 170 ადამიანი იღუპება.

მოსახლეობის რაოდნეობის გათვალისწინებით, აბსოლუტურ რიცხვებში ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების გამო ყველაზე მეტი ადამიანი ჩინეთსა და ინდოეთში იღუპება.

ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების გამო 6,5 მილიონი ადამიანი იღუპება.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო პარიზში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1974 წელს ეუთოს ფარგლებში შეიქმნა.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო საერთაშორისო საზოგადოებას აფრთხილებს, რომ სიკვდილიანობის დონე კიდევ უფრო გაიზრდება, თუკი ქვეყნების ენერგოპოლიტიკას არ შეცვლიან.

ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს ეკოლოგიური ენერგიის წყაროებში ინვესტიციის გაზრდას.

გამოცემა The New Yourk Times-თვის მიცემულ ინტერვიუში საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს დირექტორი ფატიჰ ბიროლი აცხადებს, რომ ჰაერის დაბინძურების გამო განსაკუთრებით დაზარალებულია ჩინეთისა და ინდოეთის ქალაქები.

## აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ავტომანქანების ტექდათვალიერება

**გადაწყვეტილება, რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო მიღებული ტექდათვალიერების მთლიანად გაუქმების შესახებ, იყო აბსოლუტურად არასწორი,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ენერგეტიკული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ კვლევაზე საუბრისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, საქართველოში ჰაერის დაბინძურების გამო ყოველი 100 ათასიდან 290 ადამიანი იღუპება.

**„იმის მაგივრად, რომ დაგვეხვეწა არსებული რეგულაციები და ტექნიკურად მოგვეწესრიგებინა, ის მახინჯი ფორმა, რომელიც მართლაც არსებობდა წარსულში, საერთოდ გავაუქმეთ ტექდათვალიერება. ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ავტომანქანების ტექდათვალიერება, მაგრამ საუკეთესო ევროპული პრაქტიკით. ჩვენ გვაქვს გეგმები, მოვიწვიოთ საერთაშორისო კომპანიები, რათა სწორი სისტემა ჩამოვაყალიბოთ, გამოვრიცხოთ კორუფცია ამ სისტემაში და, რაც ყველაზე მთავარია, იყოს ხელმისაწვდომი. დღეს ჩვენთან ბავშვთა ასაკში სიმსივნის მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ავადდებიან ჩვენი ბავშვები და ვერავითარ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევწირავთ ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობას იმას, რომ საქართველომ ნაკლები რეგულაციებით იამაყოს. აქ არის სწორი ბალანსი დასაცავი რეგულაციებსა და მოსახლეობის ჯანმრთელობას შორის. ჩვენ აუცილებლად შემოვიღებთ სწორ სისტემას ტექნიკური დათვალიერების, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი, კორუფციისგან თავისუფალი სისტემა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის მიხედვით“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.


**რამაზ საყვარელიძე:**

**ლიბერალურ ევროპას ვირჩევთ თუ საბჭოთა ტრადიციებზე დამყარებულ რუსულ იმპერიას?** 2

**შოთა ნადირაშვილი – დიდი მეცნიერი, მოქალაქე და მამულიშვილი**


5

**როგორ დავისვენე 90-იან წლებში ჩარჩენილ აფხაზეთში?** 8

**სპეკულანტური ქაოსი ფარმაცევტულ ბიზნესში!** 11

**თამაზ ჭილაძე**

## რაბლე ქართულად

**თარგმნო ასეთი წიგნი, ნიშნავს – თარგმნო მთელი ქვეყანა...**



7

## ვანთელი ფეოდალის ძიებაში

6

# პრეზიდენტი გიგი წერეთელს ანიჭებს!

**საქართველოს პრეზიდენტმა ღიად დაუჭირა მხარი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად გიგი წერეთლის წარდგენას.**

„წინ არის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა, რომელიც თბილისში გაიმართება. ცნობილია, რომ არსებობს შესაძლებლობა, ასამბლეის პრეზიდენტად ავირჩიოთ ქართველი დეპუტატი. ეს იძლევა დიდ შესაძლებლობას, ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში მოხდეს საქართველოს პრობლემატიკის წინ წამოწევა. საქართველოს პრეზიდენტმა ღიად დაუჭირა მხარი ამ თანამდებობაზე გიგი წერეთლის წარდგენას. გიორგი მარგველაშვილი იგივე ქმედებისკენ მოუწოდებს საქართველოდ დელეგაციის წევრებს“, — თქვა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ.

# მთავრობის მეთაური ხიდაშელს ჯერ სამუშაო რეჟიმში გადასვლას ურჩევს და შემდეგ პრობლემების გარკვევას

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, თავდაცვის მინისტრის მიერ საყოველთაო გაწვევის გაუქმება ზოგადად შეთანხმებული მიმართულებაა, თუმცა როგორც მთავრობის მეთაური ამბობს, აღნიშნული გადაწყვეტილება ტექნიკურ მომზადებას საჭიროებს.**

„თინას მხრიდან არის ცოტა არასწორი ინტერპრეტაცია. იყო, რა თქმა უნდა, მიმართულება შეთანხმებული. ეს იყო სააკაშვილის დროს მიღებული მიმართულება, რომ საქართველოში შემდეგ უკვე იმპლემენტაციის გეგმის თანახმად უნდა გაუქმდეს საყოველთაო გაწვევა, მაგრამ, ვინაიდან, ასეთი გადაწყვეტილებები არის მრავალგანზომილებიანი და ის მოიცავს არაერთი უწყების მონაწილეობას როგორიც არის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ასევე ვფიქრობ, რომ ფინანსებთან არის ეს დაკავშირებული. ასეთი გადაწყვეტილებების გახმოვანება არ ხდება ხოლმე წინასწარი, მინიმუმ ტექნიკური მომზადების გარეშე. რა თქმა უნდა, ზოგადად რომ მივდივართ ამ მიმართულებით, ეს ცნობილია, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებები არ მიიღება პრესკონფერენციებზე თუ ბრიფინგებზე. ეს არის ნორმალური ფორმატი, რომ როდესაც ღებულობ ასეთ გადაწყვეტილებას, მინიმუმ კარგი ტექნიკური მომზადება უწყებათაშორის უნდა იყოს გავლილი. ამაზე იყო საუბარი. მე მგონია, რომ ეს გაუგებრობა უნდა ამოვწუროთ და თინასაც ვურჩევ, რომ ჯობია, სამუშაო რეჟიმში გადავიდეთ ამ საკითხის გასარკვევად“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# თინა ხიდაშელის გადაწყვეტილებაზე კომენტარებმა შესაძლოა, ქვეყნის ინტერესები დააზარალოს

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებაზე კომენტარებმა შესაძლოა, ქვეყნის ინტერესები დააზარალოს, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა.**

მისივე თქმით, პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ამომწურავად უპასუხეს კითხვებს და პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მეტი საჯარო კომენტარი საჭირო არ არის.

„წინ არის ვარშავის სამიტი, სადაც პრეზიდენტი თავდაცვის მინისტრთან ერთად მიემგზავრება. შესაბამისად, ამ საკითხზე გაკეთებულმა კომენტარებმა შეიძლება, დააზარალოს ქვეყნის ინტერესები“, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

**საქართველო არის ქვეყანა, რომელიც მიისწრაფის ევროპისკენ, მაგრამ გვაქვს დიდი ბრიტანეთის მაგალითი, რომელმაც დატოვა ევროკავშირი. ბრიტანელების გადაწყვეტილებამ რა შეიძლება შეცვალოს საქართველოს სინამდვილეში?**

**რამაზ საყვარელიძე:** ევროპიდან საქართველოსკენ მომავალი გზა შეასძლოა დაამოკლოს, საქართველოს გზა ევროპამდე დამთავრეულია — მისული ვართ და ვდგავართ. ვფიქრობ, რომ ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს გეზში არანაირი ცვლილება არ უნდა შეიტანოს. რეალურად, ჩვენი ალტერნატივა არის ევროპა, გზა ევროპული სტრუქტურებისკენ, მაგრამ როგორ მოვიქცევით უკვე ამის შემდეგ, ამას მომავალი და თავად ევროპული სტრუქტურების გამოცდილება გვიჩვენებს. ჩვენ ვიცით ბევრი ევროპული ქვეყანა, რომელიც ადრე ნატოში არ იყო, თუმცა, ახლა ფიქრობენ შესვლაზე.

## რამაზ საყვარელიძე:

# ლიბერალურ ევროპას ვირჩევთ თუ საბჭოთა ტრადიციებზე დაყყარებულ რუსულ იმპერიას?

**ჩვენი სტუმარია პოლიტოლოგი**
**რამაზ საყვარელიძე**

რუსეთის აგრესიულობის გაზრდის შემდგომ ქვეყნები ცვლიან თავიანთ სტრატეგიას ამა თუ იმ გაერთიანებაში ყოფნით. ინგლისი იყო ევროკავშირში შესული, თუნდაც ძალიან შეზღუდული პირობებით, მაგრამ ახლა საერთოდ გამოსვლა გადაწყვიტა. თითოეული ქვეყნის ინტერესები და ის დრო იმოქმედებს, რა დროშიც მომწიფდება ეს საკითხი. სულ რომ დაიშალოს და 3 ქვეყანა დარჩეს ევროკავშირში, ჩვენთვის არ უნდა შეცვალოს ის მდგომარეობა, რასაც ევროპა ჰქვია. ყველა ტიპის გაერთიანებაში უნდა დავიმკვიდროთ ადგილი.

**— დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილებას ალბათ, გამოიყენებენ ევროსკეპტიკოსები საქართველოს წინააღმდეგ, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების ყურადღება კონცენტრირებული იყოს ამ მიმართულებით და მოსახლეობას მიეწოდოს ინფორამცია, რომ გარდა ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობისა, სხვა ალტერნატივა ქვეყანას არა აქვს?**

— ჩვენი ევროსკეპტიკოსების ყურადღება მინდა, გავამახვილო იმაზე, თუ როგორ გადაიდგა ეს ნაბიჯი. პრაქტიკულად, ყველა პოლიტიკოსი და პოლიტიკური ლიდერი სთავაზობდა ბრიტანეთს გაერთიანებაში დარჩენას, მაგრამ რეფერენდუმმა და ხალხმა გადაწყვიტა ეს საკითხი. 61 წელი ვიყავით საბჭოთა კავშირში, მხოლოდ ფორმალურად გვქონდა გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაგრამ საბჭოთა კავშირიდან გასვლის თაობაზე ლაპარაკიც კი შიშის მომგვრელი იყო.

**გასარკვევია, რა რეალობას ვირჩევთ — ლიბერალურ ევროპას, თუ არ მოგინდება, შეგიძლია რეფერენდუმის წესით გამოხვიდე, თუ საბჭოთა ტრადიციაზე დამყარებულ რუსულ იმპერიას, რომელსაც ერთ სული აქვს, გადაგყლაპოს და მასთან ურთიერთობაში არანაირი კანონი აღარ იმოქმედებს — რომელს ვირჩევთ?**

**— რუსულ იმპერიასთან ურთიერთობის ნათელი მაგალითია ჩეჩნეთი...**

— რა თქმა უნდა, ჩეჩნებს არ სურდათ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა და სისხლის ფასად დაუჯდათ ეს სურვილი. ამ გზას ვადგებით და ესაა ჩვენი არჩევანი? ის, რომ მხოლოდ ეს არჩევანია და, რომ მესამე და მეოთხე ვარიანტი არ არსებობს, ამას კარგად გვიჩვენებს ის ფაქტიც, რომ ინგლისის ეს ნაბიჯი გაუხარდა რუსებს და პუტინს მიულოცეს. რატომ? იმიტომ, რომ ამ ნაბიჯით სკეპტიკოსების რიცხვი გაიზრდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ევროკავშირისკენ მიმავალი რიცხვი შემცირდება. ამის გამო ულოცავენ პუტინს.

ევროკავშირიდან ერთი ქვეყნის გამოსვლა, რეალურ პოლიტიკურ შინაარსს ამ სტრუქტურას არ აცლის. ანუ, ეს სტრუქტურა კვლავ ევროპის სიმბოლოა. თუ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ, ამ სიმბოლოსთან ზიარება მოგვიწევს. ვისაც არ სურს ევროპაში შესვლა, ის რეალურად ხელმძღვანელობს იმით, რომ რუსეთი გაბრაზდებაო, თორემ ევროპაში სირბილი ყველას უყვარს.

**— „რუსეთი გაბრაზდება“ — საქართველოს შემთხვევაში არგუმენტად გამოდგება?**

— არა. რუსეთის გაბრაზება არგუმენტი არ არის, იმიტომ, რომ ევროპა ხსენებაშიც არ იყო, როდესაც ფიზიკური ძალით წაგვართვა აფხაზეთი და იურიდიულად კი, გვიან გადაიფორმა. ყველაფერი ჩამოართვა მის უახლოეს მეგობარს — სომხეთს. ევროპაზე სულაც არ აქვს ორიენტაცია, მაგრამ ყარაბაღის პრობლემა დაუსვა აზერბაიჯანს, მათ შორის სომხეთსაც. რუსეთი ერთნაირად აგრესიულია მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. ამიტომ ჯობია, შეიქმნას სახლი, რომელშიც მეტნაკლებად დაცული იქნები და იმის შიშით, რომ გაბრაზდებაო, უარი არ თქვა.

**— კრემლმა ვერ შეძლო რეაქციის დამალვა, ერთგვარად გამარჯვებულის როლში ცდილობს თავის წარმოჩენას რუსეთი. რამდენად მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის გამარჯვების როლში ყოფნა არ აისახოს იმ ინტეგრაციულ პროცესებზე, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიმდინარეობს?**

— ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ევროპის მხრიდან გადადგმული ნაბიჯები - საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭება. ეს დაარწმუნებს ქართველებს, რომ თავად ევროპასაც სურს ჩვენთან ყოფნა. ამით შეიძლება დიდად არაფერი შეიცვალოს, მაგრამ პოლიტიკურ გააზრებაში — ვინ ვარ და სად ვარ, ჯერჯერობით არის ის ინერცია, რომ მე ვარ რუსეთის მეზობელი და ყოფილი საბჭოთა ქვეყანა. ჩვენს თავში ჩადებული ეს პოლიტიკური სქემა რომ შეიცვალოს იმით, რომ მე ვარ ევროპის ნაწილი, ამისთვის მნიშვნელოვანია ვიზალიბერალიცაციის მიღება.

**— ევროპა მოვლენების განვითარების რეჟიმშია, რადგან არავინ იცის, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ ბრიტანელები ნატოსთან მიმართებაში. შესაძლებელია დატოვონ ალიანსი?**

— მეეჭვება. სხვათა შორის არც ევროკავშირის დატოვების ფაქტი არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, ეს იყო რეფერენდუმი, რომელმაც შიდა სახელმწიფოებრივი ფილტრები უნდა გაიაროს. ამ ფილტრებში შეიძლება გარკვეული ცვლილებები მოხდეს. ასე რომ, შეიძლება დროზე ადრე არის შეფასებები გაკეთებული.

**— მაგრამ ეს არის ძალიან დიდი პროცესის დასაწყისი, რომელიც შეიძლება ძალიან მძიმე აღმოჩნდეს თავად ევროპისთვის. შეიძლება ერთგვარი გამოსაფხიზლებელი შედეგი აღმოჩნდეს ევროპისთვის, რომელიც ძალიან მძიმედ იღებს ხოლმე გადაწყვეტილებებს და ამის მაგალითია საქართველო?**

— შეიძლება, გამორიცხული არაა. მსოფლიო პოლიტიკურ მედიაში უამრავი კრიტიკაა ევროკავშირის მიმართ სწორედ იმიტომ, რომ ისინი პოლიტიკურად გაუმართავ გადაწყვეტილებებს იღებენ. ევროკავშირი ამას არ აქცევდა ყურადღებას, რადგან ცხოვრება მიდიოდა. თუ ყურადღებას არ მიაქცევენ იმ კრიტიკულ შენიშვნებს, რაც არის გამოთქმული მათ წინაშე, ბრიტანელების გადაწყვეტილებამ აჩვენა, რომ ცხოვრება ისე აღარ წავა.

იმედია, ინგლისის ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ევროპის გამოფხიზლებისა და დედამიწისკენ დაბრუნების პროცესს. თქვენ ნატო ახსენეთ და გავიხსენოთ, რომ ნატოს სტურქტურაში გაბედული ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით ნომერ პირველი მოკავშირე ინგლისია. ასე რომ, ევროკავშირიდან გამოსვლამ შეიძლება ბევრ რამეში გაუხსნას ხელი ინგლისს. დროზე ადრე უხარია რუსეთს, რადგან შეიძლება სწორედ ინგლისი გახდეს ერთ-ერთი პრობლემა იმის გამო, რომ სხვა ქვეყნების გავლენას ინგლისური პოლიტიკა აღარ დაექვემდებარება.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# დიმიტრი ქუმსიშვილი: ქართველ მეწარმეებს საშუალება ეძლევათ, პროდუქტი და მომსახურება ერთ-ერთ ყველაზე მაღალგადახდისუნარიან ბაზარზე შეიტანონ

**EFTA-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას საქართველოს მხრიდან საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მოაწერა ხელი. დოკუმენტზე ხელმოწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შვეიცარიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა.**

დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ამით ქართულ ბიზნესს ეხსნება 14-მილიონიანი ბაზარი. მისი თქმით, მთლიანი ერთობლივი შიდა პროდუქტი, რომელსაც ეს ოთხი ქვეყანა აგენერირებს, 850 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია. ამ ქვეყნებთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც ვაჭრობის ყველა მიმართულებას ფარავს, ქართველ მეწარმეებს აძლევს საშუალებას, რათა საკუთარი მომსახურება და პროდუქტები ერთ-ერთ ყველაზე მაღალგადახდისუნარიან ბაზარზე შეიტანონ.

დიმიტრი ქუმსიშვილმა მადლობა გადაუხადა მთელს სამთავრობო გუნდს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა EFTA-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკების პროცესში. მისი განცხადებით, მოლაპარაკება დაგეგმილზე სწრაფად დასრულდა და აღნიშნულმა პროცესმა მხოლოდ 6 თვე შეადგინა.

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში (EFTA) შედის ევროპის ოთხი სახელმწიფო: შვეიცარია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და ისლანდია.

# პრემიერი ვარაუდობს, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში 100-ზე მეტ მანდატს მოიპოვებს

**პრემიერ-მინისტრს** არჩევნებზე „ქართული ოცნების“ დიდი უპირატესობით გამარჯვების იმედი აქვს. გიორგი კვირიკაშვილი „რუსთავი-2“-ის დაკვეთით გამოქვეყნებულ კვლევის შედეგებს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, კითხვაზე – თუ ჩავთვლით, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობთ, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 22.4%-მა დაასახელა ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი 21.7%-მა.

**„ჩვენ ბევრი ასეთ კვლევა გვინახავს და გვინახავს ძალიან განსხვავებული შედეგები არჩევნებზე. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, აბსოლუტური დარწმუნებით მინდა ვთქვა, რომ „ქართული ოცნება“ ძალიან დიდი უპირატესობით ამ არჩევნებზე გაიმარჯვებს და ვფიქრობ, რომ ამაში ეჭვი არავის არ უნდა ეპარებოდეს. ძალიან დიდი უპირატესობით, ეს იქნება სავარაუდოდ, 100-ზე მეტი ადგილი პარლამენტში. ვნახოთ, არჩევნები წინ არის, ჩვენ ვართ მოწოდებული რაც მთავარია, რომ ჩავატაროთ ერთ-ერთი დემოკრატიული არჩევნები საქართველოს უახლოეს ისტორიაში და ვაჩვენოთ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი 2012 წლის არჩევნების შემდეგ, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ იქნა შეფასებული, როგორც დემოკრატიული არჩევნები,“** – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

„რუსთავი-2“-ის ინფორმაციით, კვლევა სამაუწყებლო კომპანიის დაკვეთით ორგანიზაცია GFK-მ ჩაატარა.

# სასამართლომ კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები დამნაშავედ ცნო

**თბილისის** საქალაქო სასამართლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც მედიანიუსი უცვლელად გთავაზობთ:

**„თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების, ბრალდებულების ვასილ ლელუაშვილის, ლევან ქარდავას და შოთა ხიზანიშვილის მიმართ.**

**სასამართლომ, დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადამეტების ფაქტები და სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ჩადენის ნაწილში, რამაც ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების, ასევე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. სამივე მათგანს, ამ მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემცირდა ერთი მეოთხედით და განისაზღვრა 1 წლის და 6 თვის ვადით. მათვე, 2 წლით ჩამოერთვათ თანამდებობის დაკავების უფლება.**

**ასევე, ბრალდებული ვასილ ლელუაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ კომპიუტერული პროგრამის უნებართვო დამზადებაში (კერძო კომუნიკაციის, პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევის მიზნით) წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ამ დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად ბრალდებულს 4 წლით ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, რაც ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად შემცირდა ერთი მეოთხედით და განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. საბოლოოდ, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, ვასილ ლელუაშვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.**

**ბრალდებული შოთა ხიზანიშვილი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა სხვისი ნივთის გაფლანგვაში, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო თანხა – 150 000 ევროს ოდენობით, არ იმყოფებოდა ბრალდებულის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში.**

**განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით“.**

# ნინო ბურჯანაძე: „რუსთავი-2“ ჭეშმარიტების და სიმართლის მკვლელია!“

**„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს ჭეშმარიტებისა და სიმართლის მკვლელი უწოდა.**

მისი თქმით, საქართველოს მოსახლეობა დღეს მოწმეა იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანიიდან, ქვეყნის წინაპროვოკაციულ ან ქვეყნის დესტაბილიზაციის რეჟიმში გადაყვანა უნდათ.

**„ქვეყანა წინასაარჩევნო პერიოდიდან წინაპროვოკაციულ რეჟიმში გადაჰყავთ! სხვა არაფერი ქვია იმ ე.წ. კვლევებს, რომელიც „რუსთავი-2“-მა გამოაქვეყნა. ჩვენ ამ ტელეკომპანიისაგან არ გვიკვირს მსგავსი კვლევები, იმიტომ, რომ არაერთგზის გვითქვამს, რომ ეს ტელევიზია ემსახურება ერთი კონკრეტული პარტიის ინტერესებს და არა ჭეშმარიტებასა და სიმართლეს, თუნდაც სუბიექტური სიმართლის ინტერესებს“** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მან ასევე აღნიშნა, რომ არაერთგზის, „რუსთავი-2“ გამოდიოდა ჭეშმარიტებისა და სიმართლის მკვლელად.

**„ეს იყო თუნდაც 2011 წლის 26 მაისს, როდესაც ხელისუფლება ცდილობდა, იარაღით და ხელკეტებით მოვეკალით, ხოლო „რუსთავი-2“ ცდილობდა, მოვეკალით პოლიტიკურად იმ ცილისწამებითა და ტყუილებით, რომელიც იღვრებოდა მათი ეთერიდან“,** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მისი თქმით იგივე გრძელდება ახლაც. სახეზეა მცდელობა იმისა, რომ გაათანაბრონ ხელისუფლებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი, ხოლო ნაცმოძრაობა თავისი სატელიტებით, როგორიც არის ალასანიასა და ბურჭულაძის პარტიები, პრაქტიკულად, უმრავლესობად წარმოაჩინონ.

მისი თქმით, ბრიტანეთის რეფერენდუმმა, ვისაც ანალიზის გაკეთება შეუძლია, ყველას დაანახვა, რომ მნიშვნელოვანია ყველგან, პოლიტიკაში იყვნენ პოლიტიკოსები, რომ ქვეყნის პრობლემებს წყვეტდნენ პოლიტიკოსები, დამოუკიდებელი და სწორად მოაზროვნე პოლიტიკოსები.

**„ასეთ შემთხვევაში არც ევროპას და არც ჩვენს ქვეყანას მსგავსი პრობლემები არ ექნება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციებში გაწევრიანება, ჩვენი მიზანია და უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია და ნებისმიერ ორგანიზაციასთან ურთიერთობა გამოყენებული იყოს ქვეყნის ინტერესების განსახორციელებლად და ქვეყნის პრობლემების მოსაგვარებლად. ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი და ასეთ შემთხვევაში ქვეყანას ნაკლები პრობლემები ექნება“,** – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

# ეს ციფრები „რუსთავი-2“-ის ოცნებაა

**პარლამენტის** ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია GFK-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს უნდობლობას უცხადებს.

**„ამ ციფრებს ციფრებად დავტოვებდი. ჩვენი ამომრჩეველი არჩევანს გააკეთებს და ეს ციფრები „რუსთავი-2“-ის ოცნებაა, რომელსაც თქვენ ახმოვანებთ. არჩევნები ძალიან მალე იქნება და ნდობის მანდატს თუ ვინმე დაიმსახურებს, ამას საზოგადოება იხილავს, მე ჩემს ამომრჩეველს ვენდობი“,** – განაცხადა ბესელიამ, რომელმაც GFK-ს კვლევების შეფასებისას „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტს მიმართა.

◎ საგადასახადო რეფორმა

# თუ საბიუჯეტო ხარჯი არ შემცირდება...

**ყველაზე** დიდი დაბრკოლება, რაც საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის, ფინანსურ წყაროებზე მეწარმეთა წვდომის შეზღუდული შესაძლებლობებია, საქმის წარმატებულად წასაძღოლად, პროდუქციისა თუ მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად, შესაბამისად, შიდა თუ გარე ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად საჭიროა ფულადი სახსრები. ამ მიმართულებით მთავრობა უახლოეს მომავალში საგულისხმო ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, რომელთა რიცხვშია მოგების გადასახადის რეფორმა, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

წინა პუბლიკაციებში უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს საფუძვლად ეგრეთ წოდებული „ესტონური მოდელი“ უდევს, რომლის შესაბამისად, მოგების გადასახადი განაწილებული მოგების გადასახადით შეიცვლება. ეს პრინციპული ცვლილებაა და იმას გულისხმობს, რომ საწარმო ან კომპანია მოგების გადასახადით მხოლოდ მიღებული მოგების განაწილების შემთხვევაში დაიბეგრება, ხოლო თუ ეს სახსრები რეინვესტირდება, მაშინ ეკონომიკური სუბიექტი შესაბამისი გადასახადისგან გათავისუფლდება.

ახალი მოდელის შემოღებასთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ იგი სამ ეტაპად ამოქმედდება: **თავდაპირველად იგი დამატებული ღირებულების გადალებული მოგების გადასახადით ჩაინაცვლება და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაისად 1 იანვრიდან ამოქმედდება.** მესამე ეტაპი კი საფინანსო სექტორში 2019 წლის დამდეგიდან ამოქმედდება. რეფორმის ფარგლებში გამარტივდება საგადასახადო ადმინისტრირების მთელი რიგი პროცედურა.

ქვეყნის საგადასახადო სისტემაში ახალი რეგულაციების მოსალოდნელი ზეგავლენა იუსაიდის პროექტის „მმართველობითი განვითარების“ ფარგლებში შეფასდა. ექსპერტების აზრით, **ამოქმედებიდან 1,5 წელიწადნახევარში გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო, კაპიტალის მთლიანი მოცულობა 3,23 პროცენტით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1,44 პროცენტით, მოხმარების ხარჯი კი 0,85 პროცენტით მოიმატებს, ხოლო წლიური საბიუჯეტო დეფიციტი 3 პროცენტამდე შემცირდება.** თანაც ამ დისბალანსის აღმოფხვრა შესაძლებელი იქნება დღგ-ს 1,25 პროცენტით ანდა საშემოსავლო გადასახადის ერთი პროცენტით გაზარდის შემთხვევაში. თუმცა კი ანგარიშის ავტორები იმ გარემოებასაც უსვამენ ხაზს, რომ **მოგების გადასახადის შემცირებით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკარგების ასანაზღაურებლად გაცილებით უკეთესი და რეკომენდებული გზა საბიუჯეტო ხარჯის შემცირებაა.**

აღნიშნულ ანგარიშში ლაპარაკია ასევე „ესტონურ მოდელზე“ გადასვლასთან დაკავშირებულ მოკლევადიან რისკებზეც, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი, ცხადია, **საგადასახადო შემოსავლების შემცირებაა,** რომლებიც, არსებითად, ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ. კერძოდ, წლეულს სახელმწიფო შემოსავლების 45 პროცენტი, დამატებული ღირებულების, 27 პროცენტი – საშემოსავლო და 13 პროცენტი მოგების გადასახადებმა უნდა შეადგინოს.

თუკი რეფორმის ფარგლებში საწარმოების მოგების სახსრების ნახევარი რეინვესტირებას მოხმარდება და, მაშასადამე, დღგ-თი დაბეგვრას აღარ დაექვემდებარება, სახელმწიფო ბიუჯეტს – მოგების გადასახადის ნაწილში – დაახლოებით 540 მილიონი ლარი დააკლდება.

აქედან გამომდინარე, სავსებით ცხადია, რომ **რეფორმის უმთავრესი გამოწვევა საგადასახადო შემოსავლების შემცირებაა,** რომელიც გარკვეულ გრძელვადიან პერსპექტივაში, ბიზნესის გააქტიურებით და ეკონომიკური განვითარების ტემპის მატებით უნდა დაიძლიოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

# დიდი სამამულო ომი და საქართველო დღეს



**2016 წლის 21 ივნისს სასტუმრო „ვერე პალასში“ პუბლიცისტ დავით მხეიძის ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა სახელწოდებით „დიდი სამამულო ომი და საქართველო დღეს“.**

**შეხვედრას პოლიტოლოგები, პოლიტიკოსები, საქართველოს პარლამენტის წევრები, ისტორიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები ესწრებოდნენ.**

**დავით მხეიძე:**

— შეხვედრის მიზანი იყო, საზოგადოებისთვის შეგვეხსენებინა დიდი სამამულო ომის დაწყების მიზეზები და საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს როლი ფაშიზმის დამარცხებაში. მოგეხსენებათ, დღეს მსოფლიოში ანტირუსული ისტერია მძვინვარებს, რომელსაც ნაწილობრივ საქართველოც უერთდება. ქვეყანაში გამოჩნდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც საფუძველშივე კლავენ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის აღდგენის შანსს. არ შეიძლება, მეზობელ ქვეყანას უთხრა, რადგან ევროპამ ზურგი გვაქცია, ახლა შენ დაგელაპარაკებითო. ეს უარყოფითად განაწყობს მოპირდაპირე მხარეს. ჩვენი მიზანია, საზოგადოებას ვამცნოთ, რომ მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გადაარჩენს ქვეყნის ეკონომიკას. და, რა თქმა უნდა, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თუ არა რუსეთის კეთილგანწყობა, შეუძლებელია.

**მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა შემაჯამებელი განცხადება შეიმუშავეს:**

ანტიქართული „ნაციონალური“ რეჟიმის პირობებში საზოგადოებას თავს ეხვეოდა აზრი, რომ საბჭოთა კავშირის ბრძოლა ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ 1941-1945 წლებში არის ორ ტოტალიტარულ სისტემას, კომუნიზმსა და ფაშიზმს შორის კონფრონტაციის გამოვლინება. დიდი სამამულო ომის ცნება, პრაქტიკულად, გაუქმდა, რადგან საქართველო განიხილებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ, და, ამ მხრივ, ორ ტოტალიტარულ სისტემას შორის დაპირისპირებაში იძულებით ჩათრეულ ქვეყნად. ფაშიზმზე გამარჯვების ძირითადი დამსახურება კი „დემოკრატიულ“ დასავლეთს მიეწერებოდა, რითაც თურმე ისარგებლა კომუნისტურმა საბჭოთა კავშირმა და გააძლიერა საკუთარი პოზიციები.

ისტორიის ამგვარი დაუფარავი ფალსიფიკაცია განპირობებული იყო რეჟიმის მისწრაფებით, მაქსიმალურად მოეწყვიტა ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი მეგობრისაგან - ერთმორწმუნე რუსი ერისაგან, დაეთესა ხალხთა შორის მტრობა და შუღლი. რუსოფობია გადაიქცა „ნაციონალური“ რეჟიმის მთავარ მკვებავ ნიადაგად.

მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი დარჩა ერთგული იდეალებისა, რომელთა გამოც ასეულ ათასობით ქართველი მიდიოდა ფაშიზმის წინააღმდეგ ომში. ქართველებისთვის უცხოა ქსენოფობია, მით უმეტეს, რუსოფობია. ქართველმა ხალხმა იმიტომაც უთხრა „არა“ ანტიხალხურ რეჟიმს, რომ იგი აწარმოებდა პროვოკატორულ პოლიტიკას რუსეთის მიმართ, რამაც ისევე და ისევ საქართველოს ინტერესები აზარალა.

ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებისკენ, მაგრამ სასურველი შედეგებისაგან ჯერ ისევ შორს ვართ. ძალზე ცოტა გაკეთდა საიმისოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მიეცეს ჯეროვანი შეფასება დიდ სამამულო ომს, როგორც მთელი კაცობრიობისა და, მათ შორის, საქართველოს გადარჩენას. გამარჯვების დღე — 9 მაისი საქართველოში არ აღინიშნება ჯეროვან დონეზე, ყველაფერი შემოიფარგლება იმით, რომ ოფიციალური პირები თბილისში უცნობი ჯარისკაცის მონუმენტს თაიგულებით ამკობენ, მცირერიცხოვან ცოცხლად დარჩენილ ვეტერანებს კი ერთჯერად დახმარებას ურიგებენ. საქართველოს ქალაქებში ამ დღეს არ ჩანს ბანერები მოლოცვის სიტყვებით, არ არის სატელევიზიო მიმართვები, ომის თემაზე დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვენება. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ძველებურად ძალზე მწირად და შეკვეცილად ისწავლება დიდი სამამულო ომის ისტორია, უფრო მეტიც, ეს ისტორია მახინჯდება. არ დასჯილან პირები, რომლებიც გორში

სტალინის ძეგლის უკანონო დემონტაჟზე არიან პასუხისმგებელნი. მით უმეტეს, ახალმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, რომ შეესრულებინა მოქალაქეთა უმრავლესობის მოთხოვნა, დაებრუნებინა სტალინის ძეგლი თავის ადგილზე.

ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებას. მოვუწოდებთ პარლამენტსა და მთავრობას, ხელისუფლების ყველა შტოს, გამოფხიზლდნენ და ამ პრობლემას ყურადღება მიაქციონ. ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია მომავალი წარსულის ჯეროვანი გააზრების გარეშე. საქართველოს ასევე არ სურს, იყოს დასავლეთის ხელში რუსეთის საწინააღმდეგო ინსტრუმენტი. ჩვენ გამოვდივართ კავკასიის რეგიონში ვითარების ხელოვნური დაძაბვის წინააღმდეგ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურებში საქართველოს ჩართვის გზით.საქართველოში არ უნდა არსებობდეს უცხოური სამხედრო ბაზები, საქართველო უნდა გახდეს ინტერესთა დაახლოებისა და თანამშრომლობის არენა.

**მრგვალი მაგიდის მინაწილენი და შემაჯამებელი ტექსტის ხელმომწერნი:**

**გოგი თოფაძე** — პ/პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი;
**რამაზ ხუროძე** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი;
**ლევან ჩაჩუა** — მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული იდეის“ თავმჯდომარე;
**ტარიელ გაგნიძე** — არასამთავრობო ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე;
**იოსებ არჩვაძე** — პროფესორი;
**თამარ კიკნაძე** — პროფესორი;
**ნანა წითელაშვილი** — პროფესორი;
**გიორგი შერვაშიძე** — გადამგარი გენერალი;
**ტრისტან წითელაშვილი** — გადამდგარი გენერალი, ყოფ. პოლიტპატიმარი;
**ომარ მხეიძე** — საქართველოს სახალხო არტისტი;
**ომარ მარგველაშვილი** — მეწარმე;
**იური მეჩითოვი** — მხატვარი-ფოტოგრაფი;
**ნანა დევდარიანი** — პოლიტოლოგი, საქართველოს ყოფილი ომბუდსმენი;
**გივი ვანიშვილი** — გადამდგარი ოფიცერი, ყოფ. პოლიტპატიმარი;
**ავთანდილ იოსელიანი** — პოლიტიკური მოძრაობა „რუსეთი ჩემი მეზობელია“;
**გელა ღლიღვაშვილი** — პროფესორი;
**გიორგი ნიშნიანიძე** — ექიმი ;
**დავით გოგიშვილი** — ისტორიკოსი;
**გულბაათ რცხილაძე** — პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

**თბილისი, 2016 წ. 21 ივნისი**

**მოამზადა**
**მამუკა ვაშაკიძემ**

# „ასტანა“ პირველ კლიენტს გაისად მიიღებს

## ყაზახეთი საერთაშორისო საფინანსო ცენტრს ქმნის

**საერთაშორისო საფინანსო ცენტრი „ასტანა“ (სსცა) პირველი კლიენტების მისაღებად გამოფენის — „ექსპო-2017“ შემდეგ იქნება მზად. ეს თარიღი პირადად სსცა-ს მმართველმა კაირათ კელიმბეტოვმა გამოაცხადა. იმის მიუხედავად, რომ დასავლელი ინვესტორები იდეას ერთგვარი სკეპტიციზმით ეკიდებიან, ხოლო რუსები შიშობენ, რომ „ასტანა“, შესაძლოა, გადაიქცეს ახალ ოფშორულ ზონად, ყაზახეთს აქვს პოტენციალი, გახდეს ევრაზიული რეგიონის „საფინანსო ნავსაყუდელი“.**

საერთაშორისო საფინანსო ჰაბის შესაქმნელად, როგორადაცაა ჩაფიქრებული ცენტრი „ასტანა“, ყაზახეთში მზადება საკმაო ხნის წინათ დაიწყეს. უკვე ამოქმედებული საპრეზიდენტო გეგმა „100 კონკრეტული ნაბიჯი“ მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს სახელმწიფო ახალი ეკონომიკური იმპულსის მისაღებად და, გამომდინარე აქედან, პოლიტიკური და სოციალური განვითარების მისაღწევად. საერთაშორისო საფინანსო ცენტრის შექმნა სწორედ ამ მიმართულებით შეასრულებს მნიშვნელოვან როლს. რად ღირს თუნდაც ის, რომ კომპანიები, რომლებიც სსცა-ში დამკვიდრდებიან, უპრეცენდენტო პირობებით იმუშავებენ: ისინი 50 წლის განმავლობაში არ გადაიხდიან დამატებითი ღირებულების გადასახადს (საინვესტიციო პროექტებისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების იმპორტირებისას), მიიღებენ ანგლო-საქსური სამართლის რეალურად მოქმედ მოდელს, ასევე საგანგებო სავიზო და სავალუტო რეჟიმს.

რაც შეეხება საფინანსო ცენტრის ოპერატიულ მუშაობას, კაირათ კელიმბეტოვის სიტყვებით, იგეგმება, რომ „ასტანაში“ გადაიტანონ ყაზახეთის საბირჟო ვაჭრობა, სადაც ყველა სახელმწიფო კომპანიის IPO (ღია ტიპის სააქციო საზოგადოებად გადაკეთება) ჩატარდება. აქვე, სსცა-ს მეშვეობით, ეროვნული ფონდისა და ერთიანი დამგროვებელი საპენსიო ფონდის აქტივები თავიანთ მმართველებს ჰპოვებენ. გარდა ამისა, საფინანსო ცენტრის ბირჟაზე ჩაფიქრებულია ისლამური ფასიანი ქაღალდების განთავსებაც.

**„ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მოცემული პროექტი დიდი და რთული საქმეა. მნიშვნელოვანია, დავაინტერესოთ ჩვენი რეგიონი, გადავაქციოთ სსცა საფინანსო მომსახურების ცენტრად „აბრეშუმის ეკონომიკური სარტყლის“ ფარგლებში. აუცილებელია, დავიკავოთ ეს ნიში და განვითარდეთ სტაბილურად. იმედი გვაქვს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და მსხვილი ბიზნესმენების მონაწილეობისა, რომლებიც ჩამოვლენ ყაზახეთში და დარწმუნდებიან, რომ აქ შესაძლებელია მუშაობა. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველმხრივი მხარდაჭერის პირობებში, პროექტის ფარგლებში მონაწილეობა საინტერესო იქნება“** — აღნიშნა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა სსცა-ს მართვის საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე.

საფინანსო ცენტრის შესაძლებლობები ინვესტორებს უკვე მიმდინარე წლის ბოლოს წარედგინება. „ასტანის“ მართვის საბჭოს წევრები ამბობენ, რომ ყველა გათვალისწინებული საკანონმდებლო ნორმისა და საფინანსო ცენტრის პირობების ამოქმედების შემთხვევაში, ყაზახეთი შეუერთდება ქვეყანათა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთაც შეძლეს სახელმწიფო პოტენციალის ინტეგრირება განვითარების თანამედროვე დინებაში. ეს მით უმეტეს მაშინ, როდესაც ევრაზიის ეკონომიკური კავშირის სივრცეზე ამგვარი პლატფორმა ჯერჯერობით არ არსებობს. ცნობისთვის: **განვითარების გეგმა ითვალისწინებს ყირგიზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, შემდგომში კი მონღოლეთისა და კავკასიის ბაზრების მომსახურებას. სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე რუს ბიზნესმენებთან შეხვედრისას ნურსულთან ნაზარბაევმა აღნიშნა ყაზახეთში რუსული ინვესტიციების შემცირების ფაქტი და ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის ბიზნესმენები მოიწვია სსცა-ს პლატფორმაზე სამოღვაწეოდ.**

უცხოელი საფინანსო ანალიტიკოსების აზრით, ყაზახეთში საფინანსო ცენტრის შექმნა კარგი იდეაა. ამჟამად ქვეყანაში ხელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობაა: ეროვნულმა ვალუტამ უკვე გამოიარა რიგი დევალვაციებისა, მთელი მაკროეკონომიკა გადასულია ინფლაციურ ტარგეტირებაზე, რის შედეგადაც ფასები ინვესტორებისა და კომპანიებისათვის მისაღებ დონეზეა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც გრძელდება მსხვილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია.

კაპიტალის ლოკალური ბაზრის განვითარებისთვის სსცა მუშაობს მსოფლიოს წამყვანი ბირჟების რიცხვიდან ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად ცენტრის მაღალტექნოლოგიური საბირჟო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. უკვე ჩატარდა მოლაპარაკებები ლონდონის საფონდო ბირჟასა და მეტალების ბირჟასთან, NASDAQ-თან, ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟასთან, NASDAQ Dubai-სთან, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟასთან.

მეორე მხრივ, სსცა-ზე უცხოელი მოთამაშეების მოწვევის მიუხედავად, ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ადგილობრივ მოთამაშეებსაც შეუძლიათ მის ფარგლებში წარმატებული მუშაობა. ადგილობრივ კომპანიებს აქვთ შანსი, მომავალში გახდნენ ტექნოლოგიებისა და ბიზნესის წარმოების მემკვიდრენი. უცხოური ფირმები მოვლენ და წავლენ, ხოლო ახალი ბიზნესტექნოლოგიების დანერგვა საშუალებას მისცემს ყაზახურ ფირმებს, განავითარონ ხარისხიანი საფინანსო მომსახურების სფერო, რასაც შიდა ბაზარზე გადამდები ეფექტი ექნება ბიზნესმოდელის გავრცელების თვალსაზრისით.

**გიორგი ჩხაიძე**

# შოთა ნადირაშვილი – დიდი მეცნიერი, მოქალაქე და მამულიშვილი

26 ივნისს აღინიშნა გამოჩენილი ფსიქოლოგის, აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილის** 90 წლისთავის იუბილე.

შოთა ნადირაშვილი დაიბადა 1926 წელს თბილისში, ალექსანდრე ნადირაშვილისა და თამარ ბერიშვილის ოჯახში. გაიზარდა ხარფუხის ძველ უბანში, ბავშვობიდანვე ისწავლა რთულ ადამიანურ ურთიერთობათა მოგვარება ისე, რომ საკუთარი ცხოვრება და ინტერესები შეენარჩუნებინა. დაამთავრა თბილისის 39-ე საშუალო სკოლა.

ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1949 წელს) დიმიტრი უზნაძის ასპირანტი გახდა. ასპირანტურის დასრულების მერე კითხულობდა ლექციებს. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხისათვის“. იმავე წელს დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. 1964 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „განზოგადების უნარის განვითარება სასკოლო ასაკში“.

1986 წლიდან 2005 წლამდე დიმიტრი უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო. 1993 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად იქნა არჩეული.



შოთა ნადირაშვილი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერული ცოდნის პოპულარიზატორი, ჩვენი და საერთაშორისო ფსიქოლოგიური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, ფსიქოლოგიის საერთაშორისო კონგრესების, თათბირების, სიმპოზიუმების, კონფერენციების ორგანიზატორი და თავმჯდომარე. იგი იყო ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ამერიკის საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით, საპატრიარქოს სიგელით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

შოთა ნადირაშვილი გარდაიცვალა 2011 წლის 13 აგვისტოს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ბატონი შოთა ფსიქოლოგების ოჯახის მამა იყო. მისი მეუღლე, ქალბატონი მანანა (ქეთევან) ცინცაძე, ვაჟიშვილი დიმიტრი და რძალი თეა გოგოტიშვილი – ფსიქოლოგები არიან. უფროსი ვაჟიშვილი ალექსანდრე კი ბიზნესში მუშაობს. ამჟამად ნადირაშვილების ოჯახს სამი შვილიშვილი ჰყავს.

ბატონი შოთა გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭითა და მისწრაფებით იყო დაჯილდოებული – არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით. მრავალი ბრწყინვალე აღმოჩენის ავტორია. მთავარი კი ისაა, რომ ნამდვილი მეცნიერის ცხოვრებით ცხოვრობდა – თავის საქმეს სიამოვნებით აკეთებდა და ამით ბედნიერიც იყო. მისი ნაშრომები 250 სამეცნიერო სტატიასა და 12 მონოგრაფიას მოიცავს, რომელთაგან აღსანიშნავია: „განზოგადების უნარის განვითარება სასკოლო ასაკში“ (1964 წ); „აღქმის ფსიქოლოგიის პრობლემები“ (1976 წ.); „პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია“ (1974 წ.); „პროპაგანდის ფსიქოლოგია“ (1980 წ.); „განწყობის ფსიქოლოგია“, ტომი I-II (1983-1985 წწ.); „განწყობა და ქცევა“ (1998 წ.); „განწყობის ანთროპული თეორია“ (2000 წ., 2014 წ.).

ბატონი შოთა ცხოვრებაშიც ძალიან აქტიური პიროვნება იყო: მეცნიერების ორგანიზატორი, მასწავლებელი და აგრეთვე ძალიან აქტიური მოქალაქე, საზოგადოებრივი მოღვაწე. ხშირად გამოდიოდა სიტყვით სხვადასხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ თავყრილობებზე, წერდა პოპულარულ საგაზეთო სტატიებს. მასმედიაში მისი მრავალი ინტერვიუ ვრცელდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის სატელევიზიო საუბრები ბატონ შოთასთან. ბატონი შოთას ტექსტები გამოირჩევა საკითხებში ღრმა წვდომით, მკაფიო ლოგიკით, ნათელი და სადა სტილით – ისინი სრულიად გასაგებია ფართო საზოგადოებისთვის.

ბატონი შოთა ნამდვილი პატრიოტი, ქართველი მამულიშვილი იყო. ეროვნული მოძრაობის აღზევების ხანიდან, ანუ 1989 წლიდან დაწყებული, ის „ეროვნული ფრონტის“ წევრი იყო და გულმხურვალედ უჭერდა მხარს თავისუფლებისკენ საქართველოს მისწრაფებას, ნამდვილი, ქართული კულტურის განვითარებასა და მისი თვითმყოფადობის დაცვას. მან საგანგებოდ გამიჯნა დამოუკიდებლობის ცნება თავისუფლების ცნებისგან და ხშირად ამბობდა, რომ თუნდაც სრული დამოუკიდებლობა (რაც სინამდვილეში არც არსებობს) საკმაოდ შორსაა ნამდვილი თავისუფლებისგან. ეს თანაბრად ეხება პიროვნებასაც და ერსაც.

ბატონ შოთას ხელმძღვანელობით 50-ზე მეტი სამეცნიერო დისერტაცია იქნა დაცული. ჩატარდა მრავალი გამოკვლევა, მთლიანობაში ამ გამოკვლევებმა განწყობის თეორიის ახალი ხანა შექმნა.

ბატონი შოთას ნაშრომები ფსიქოლოგიის მრავალ მიმართულებას მოიცავს: განზოგადების კანონზომიერებანი, აზროვნების ფსიქოლოგია (ამ საკითხებზე ბატონი შოთა ახალგაზრდობაში მუშაობდა, რევაზ ნათაძის ხელმძღვანელობით); განწყობის მოქმედება, აღქმისა და სენსომოტორიკის ფსიქოლოგია და მთელი-ნახევრის მეთოდი; სოციალური განწყობა, აღზრდისა და ზეგავლენის ფსიქოლოგია; განწყობის ანთროპული თეორია; მოძღვრება ერის შესახებ.

დიმიტრი უზნაძის გარდაცვალების შემდეგ ბატონმა შოთა ნადირაშვილმა განაახლა განწყობის თეორიის როგორც ექსპერიმენტული, ისე თეორიული საფუძვლები. თუმცა, მის სიახლეებს ქართველი კოლეგების მხრიდან მწვავე წინააღმდეგობა შეხვდა (მეორე ასეთივე ნოვატორი შალვა ჩხარტიშვილი იყო). შოთა ნადირაშვილის მიერ დამკვიდრებულმა „განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის კანონმა“ განწყობის თეორია ჩიხიდან გამოიყვანა.

აკად. შოთა ნადირაშვილმა და მისმა მოწაფეებმა პიროვნულ-სოციალურ დამოკიდებულებათა მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჩაატარეს. გამოიკვლიეს სოციალურ განწყობათა ჩამოყალიბების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებანი. ბატონმა შოთამ მწყობრად ჩამოაყალიბა განწყობის თეორიის პოზიცია აღზრდასთან დაკავშირებითაც. ადამიანის პიროვნულ-ზნეობრივ ფასეულობათა სისტემა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით – ესაა სათანადო (ფასეულებრივ) მყარ დისპოზიციურ განწყობათა მტევნების სისტემა.

ბატონმა შოთამ, მიუხედავად უზნაძისეული რამდენიმე ძირეული დებულების გადასინჯვისა, მოახერხა განწყობის თეორიის მთავარი სულისკვეთების დაცვა, განვითარება და ახალ სიმაღლეზე აყვანა – ფსიქოლოგიაში მთლიანი სუბიექტისა და აგრეთვე პიროვნების შენარჩუნება. ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ცნებათა და ქცევის შესაბამის დონეთა მკაფიო გამიჯვნა – „განწყობის ანთროპული თეორიის“ საფუძველია. შოთა ნადირაშვილმა განწყობის თეორიაში „პიროვნება შემოიყვანა“ (სწორედ პიროვნება – და არა მხოლოდ ადამიანი) და ააგო „ადამიანური“, ანუ „ანთროპული“ თეორია. ამით განწყობის თეორია ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას დაუკავშირდა.

ფსიქოლოგიურ თეორიებში (მათ შორის განწყობის თეორიაშიც შოთა ნადირაშვილამდე) ცნებები: ინდივიდი, სუბიექტი და პიროვნება აღრეულია, უფრო სინონიმებად იხმარება, რაც მეთოდოლოგიურ შეცდომებს იწვევს.

ჰუმანისტურ ფსიქოლოგიასთან განწყობის თეორიის დაახლოება კონკრეტულად იმაშიც გამოიხატა, რომ ბატონი შოთა ჰუმანისტური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრი გახდა და ურთიერთობდა ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გამოჩენილ წარმომადგენლებთან.

ბატონი შოთას მრავალი პუბლიცისტური სტატია ეძღვნება საჭირბოროტო სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს, საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემებს (ამ სტატიების კრებული ალბათ მალე გამოიცემა). მისი ბოლოდროინდელი სამეცნიერო მუშაობის საგანი კი ერის ცნება და ეროვნული საკითხებია. ბატონმა შოთამ განავითარა ერის პიროვნულობის თეზისი. ესე იგი, საპირისპიროდ ერის თითქმის ყველა თანამედროვე თეორიისა, შოთა ნადირაშვილს მიაჩნია, რომ ჯანმრთელ ერს აქვს პიროვნების რამდენიმე არსებითი ნიშან-თვისება: ორგანული, იმთავითვე მოცემული მთლიანობა; ინდივიდუალურობა; თვითცნობიერება; მშობლიური ენა და ზოგადად, კულტურა; შემოქმედებითი აქტივობა და თვითგანხორციელებისკენ მისწრაფება; ფასეულებრივ დისპოზიციურ განწყობათა მყარი სისტემა; შეგნებული ნებელობა და სხვა. ცხადია, აქედან არ გამომდინარეობს, რომ ერი ყველა თვისებით ჰგავს პიროვნებას. მაგალითად, პიროვნების უმთავრესი ნიშან-თვისებები პასუხისმგებლობა, პასუხისგება და სინდისია, რომელიც ერს არ მიემართება. თუმცა, ეს ნიშან-თვისებაც კი იჩენს ზოგჯერ თავს. მაგალითად, გერმანელი ერი დღემდე განიცდის პასუხისმგებლობას და თითქოს სინდისის ქენჯნასაც კი ნაციზმის ხანაში ჩადენილ მასობრივ დანაშაულთა გამო. ესპანელებმა სამოქალაქო ომი მოინანიეს. ხოლო სოლჟენიცინი საზოგადოდ, ერის მონანიებას თვითგანწმენდის, გაჯანსაღებისა და აღორძინების საფუძვლად მიიჩნევდა.

ერის პიროვნულობის დებულებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ერზე უნდა გავრცელდეს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობის ჰუმანისტური მცნებები – უპირველესად: პიროვნების (შესაბამისად – ერის) თვითმყოფადობის დაცვისა და განვითარებისა, თვითგანხორციელებისა, მისი ღვთივბოძებული თავისუფლებისა და ყველა სუბიექტის თანასწორობისა – მიუხედავად მათი სიძლიერე-სისუსტისა. ცხადია, თანამედროვე ვითომ ჰუმანური და ვითომ სამართლიანი მსოფლიო ამ მცნებების დაცვისგან ძალიან შორსაა. გლობალიზაციის პროცესი კი სხვა მხრიდან არყევს ამ მცნებებს.

ძალიან დაგვაკლდა ბატონი შოთა, დაგვაკლდა ფსიქოლოგებსაც და მთელ ქართველ საზოგადოებასაც, რომელსაც საქართველოზე შესტკივა გული.

შოთა ნადირაშვილმა განწყობის თეორიას განვითარების გზა გაუხსნა. თან ეს განწყობის თეორიის ძირითადი დებულებებისა და მთავარი სულისკვეთების სრული შენარჩუნებით მოხდა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## თედო ჯაფარიძე: ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხი ძალიან მალე და ჩვენთვის სასიამოვნო შედეგით დასრულდება

**საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძის განცხადებით, ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლას საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხს არ შეაფერხებს.**

ამის შესახებ ჯაფარიძემ საკითხის კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა.

**„ამას არავითარი კავშირი არა აქვს იმ პროცესთან, რომელიც დაკავშირებულია ვიზების ლიბერალიზაციასთან . ეს არის ცალკე თემა. ამიტომ, ჩვენ ვაგრძელებთ. რამდენადაც მე ვიცი, ეს ყველაფერი დამთავრდება ძალიან მალე და ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო შედეგით“,** – განაცხადა ჯაფარიძემ.

## რუსეთში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე განთავისუფლდება

**საქართველოს მთავრობის პრესსამსახური 27 ივნისს, პრაღაში, ქართულ-რუსული არაფორმალური დიალოგის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.**

მთავრობის ცნობით, უკანასკნელ პერიოდში საოკუპაციო ხაზთან უკანონო ქმედებების გათვალისწინებით, შეხვედრის დასაწყისში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ რუსული მხარის ყურადღება გაამახვილა 19 მაისს, სოფ. ხურჩაში, საოკუპაციო ხაზთან საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტზე. მან აღნიშნა, რომ ასეთი სასტიკი დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს და ხაზი გაუსვა დამნაშავის სწრაფად დაპატიმრების აუცილებლობას.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა ზოგადად გაიზიარა ეს პოზიცია, თუმცა განაცხადა, რომ მკვლელობა კონკრეტული ე.წ. აფხაზი მესაზღვრის მიერ ჩადენილი დანაშაულია და რუსეთის მხარეს ამასთან არანაირი კავშირი არა აქვს. ზურაბ აბაშიძემ ასევე ისაუბრა ოკუპირებულ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე.

გაიმართა საუბარი სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო და ჰუმანიტარული ხასიათის საკითხებზე, რაც გათვალისწინებულია პრაღის ფორმატის დღის წესრიგით. მიღწეულ იქნა კონკრეტული შეთანხმებები, კერძოდ, რუსეთის ბაზარზე ქართული ექსპორტის, ასევე სატრანსპორტო გადაზიდვების ზრდის კუთხით.

შეხვედრაზე ითქვა, რომ 2016 წლის 5 თვის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის შეიმჩნევა სავაჭრო ბრუნვისა და საქართველოში რუსი ტურისტების რაოდენობის ზრდის დინამიკა.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს ჰუმანიტარული საკითხები, კერძოდ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში იხდიან სასჯელს ჯაშუშობის ბრალდებით. აღინიშნა, რომ განვლილ პერიოდში საქართველოს 6 მოქალაქე დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს. კიდევ ერთი ჩვენი მოქალაქე განთავისუფლდება და იგი სამშობლოში დაბრუნდება. პრაღაში მომდევნო შეხვედრის თარიღი დაზუსტდება მოგვიანებით.

# ვანთელი ფეოდალის ძიებაში

## შუამთის ქვეყანა

**ჩვენი გაზეთი დღეიდან იწყებს ცნობილი ტელედოკუმენტალისტისა და პუბლიცისტის გელა ქოქიაშვილის იმ სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევების ბეჭდვას, რომლებიც 2015-2016 წლებში დაიწერა სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ კახეთისა და სვანეთის ისტორიული ძეგლების გადაღების პარალელურად.**

ვანთის სასახლის საერთო ხედი.

**კახეთში** ჩემი მოგზაურობა, კარგა ხნის შესვენების შემდეგ, 2015 წლის ზაფხულში გაგრძელდა. მწედ და მეგზურად უფალმა ისევ გურჯაანის რაიონის მთავარი მეტყევე ლერი ჩხეტიანი მომივლინა. ვაჩნაძიანიდან გასულებმა ჯერ კახიფარს ჩავუარეთ, შემდეგ კი კარგად ნაცნობ აკურასაც. ლერი მანქანას აჩერებს და სოფელ ვანთაში შესვლამდე თავის კოლეგას, თელაველ მეტყევეს დავით გიგაურს უკავშირდება – ვანთისხევის ტაძრებთან მიმავალ გზებს აზუსტებს. მე გონებაში ფილმის სცენარის საკითხებს ვაყალიბებ.

ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ დახმარებით, მგონი, როგორღაც გავარკვიე, რომ V-VI საუკუნეებიდან მოყოლებული, კარგა ხნის მანძილზე, ამჟამინდელ გურჯაანის რაიონს (სიტყვა „მუნიციპალიტეტი“ ყურს ეხამუშება) ჭერემ-ველისციხის მხარე ერქვა. თავდაპირველად ამ მიკროქვეყნის პატრონი ჭერემში უნდა მჯდარიყო, შემდეგ კი კალაურში ჩასულიყო. ჭერემი ეპარქიის, ხოლო ველისციხე სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად დარჩა. ჭერემ-ველისციხის ჩრდ-აღმოსავლეთის საზღვარი სტაბილური იყო და ალაზანზე გადიოდა, სამხრეთისა – კამბეჩოვნის მიმართულებით – ხშირად იცვლებოდა, დასავლეთისა ჯერ ჭერემ-ზიარის ხაზზე იდო, შემდეგ კი ლაკბისხევიც შეიერთა. რაც შეეხება ჩრდ-დასავლეთის საზღვარს, ძნელი დასამტკიცებელია ვათნისხევზე გადიოდა თუ კისისხევზე.

ყველაზე საინტერესო ახლა სწორედ ესაა ჩემთვის, რადგან ვგრძნობ, რომ აკურიდან თუ არა ვანთიდან მაინც სხვა ისტორიულ მიკროქვეყანაში შემოვედი. **ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის მიხედვით ეს შუამთის ქვეყანაა, მაგრამ მისთვის იგი არა ვანთისხევიდან, არამედ უფრო აღმოსავლეთით მდებარე მოკრძალებული ურიათუბნის (ვაზისუბნის) ხევიდან იწყება.** არადა, ეს ხევი სათავეში ჭერემისწყალს ტყუპისცალივით მოუყვება და ჭერემის დასახლებას პირდაპირ უკავშირდება წილიანახევით. პირველ ქართველ გეოგრაფოსს, ასევე საეჭვოდ, შუამთის ქვეყნის ჩრდ-დასავლეთის საზღვარი თავად შუამთისხევი ანუ იგივე თურდოსხევი ჰგონია. **მართალია, ეს თურდოსხევი (გულგულას მინიშნებით), ლეონტი მროველის თანახმად, მთლად უძველეს ხანაში კახოსისა და ჰეროსის (კახეთისა და ჰერეთის) საზღვარი იყო, მაგრამ მან მიჯნის ფუნქცია ძალიან მალე დაკარგა და ეს ამბავი, თუ კიდევ უფრო ადრიდან არა, ძვ. წ.აღ.-ის II საუკუნიდან მაინც დადასტურებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ:** ფარნაჯომ მეფე ამას საბოლოოდ მაშინ აფორმებს, როცა ალაზნის მარცხენა სანაპიროზე ნეკრესქალაქს (ნელქარს) აშენებს და იბერიის სამეფოში შემავალი კახეთის საზღვარი ლოპოტისხევიდან აღმოსავლეთით, მდინარე ჩელეთზე გადააქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლოპოტისხევი ალაზნის მარჯვენა შენაკადის – თურდოსხევის ბუნებრივი გამაგრძელებელი ხაზია, ლოგიკურად კახეთ-ჰერეთის საზღვარი ალაზნის გამოღმა მხარესაც შეიცვლებოდა და თურდოსხევი


ალაზანი
ნაფეტვრები
ყაჯეთის საყდ.
ბულგულა
ნატკორა
ბოდორნა
ბოდორნა
ბოდორნ



## თამაზ ჭილაძე

# რაბლე ქართულად

## თარგმნო ასეთი წიგნი, ნიშნავს – თარგმნო მთელი ქვეყანა...

გამოვიდა **ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ სრული ტექსტი,** ქართულად შესანიშნავად გადმოენებული **გურამ გოგიაშვილის** მიერ. ქართულ სინამდვილეში ამობრწყინდა ერთ-ერთი ყველაზე დიადი ძეგლი იმ ქმნილებათა შორის, რომლებიც კაცობრიობის არა მარტო სიამაყეს, არამედ მისი არსებობის ერთგვარ გამართლებასაც კი წარმოადგენს. ქართულმა ენამ კიდევ ერთხელ ცხადყო მსოფლიო შედევრების კონგენიალურად აჟღერებისა და გათავისების უნარი.

ეს წიგნი კარგა ხნის განმავლობაში ქვეყნდებოდა ჩვენ ლიტერატურულ პრესაში და ასევე თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ინადირებდა ქართველი მკითხველის გულს. **თარგმნო ასეთი წიგნი, ნიშნავს – თარგმნო მთელი ქვეყანა,** ანუ მშობლიური სულიერი სივრცე გაზარდო და გაამდიდრო ახალი სამყაროთი.

საქართველო დიდი მთარგმნელების მხარეა. ბრწყინვალე ორიგინალურ ლიტერატურასთან, უპირველეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, მის საძირკველში იმდროინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი, ქართულად ამეტყველებული წიგნია ჩატანებული. შეიძლება თამამად ითქვას – არ არსებობს ქვეყნისთვის უფრო მყარი და სანდო საძირკველი, ვიდრე წიგნი!

განსაკუთრებით აღსანიშნავია და დღეს უკვე მერამდენედ დამტკიცდა, რომ „საერთო ძარღვი“, ანუ მემკვიდრეობითობის ჯაჭვი არ გაწყვეტილა, ისევ ქმედითი და სრულყოფილია, რამდენადაც არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი კაცობრიობის კულტურული მონაპოვრის მფლობელებად გვაქცევს, რაც თავისთავად გვათამამებს, უკეთეს მომავალზე ვიფიქროთ.ეს კი, სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანს ხდის წიგნს, რომელსაც გუსტავ დორეს მიერ შესრულებული ილუსტრაციები და მომღიმარე რაბლეს პორტრეტი ახლავს. ეს ღიმილია სწორედ მის პერსონაჟთ, ყველა პასაჟს, თითოეულ სიტყვასაც კი აკომპანიმენტივით რომ გასდევს, რადგან რაბლეს ირონიის ერთგვარ სუბსტანციას წარმოადგენს და, რომელიც აშკარა სისასტიკის მიუხედავად, ანდა თუნდაც ამის გამო საოცარ სიკეთესაც ასხივებს, სიკეთის ძლევამოსილებას ცხადყოფს.

ამ წიგნში რენესანსი ზეიმობს, ხალხი,როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, პირველად გამოდის მსოფლიო მწერლობის ასპარეზზე.რენესანსმა ადამიანს შეახსენა, რომ მას საამოთხიდან არა მარტო თიხა, არამედ სულიც გამოჰყვა...

ამ წიგნში თითქოს ემპირიზმის მღვრიე სტიქია ბობოქრობს. იმდენად ცხადია ლოთობის, ღორმუცელობის, ბილწსიტყვაობის ეპიზოდები, რომ შეიძლება წამით ისიც კი იფიქრო – ეს ცოცხალთა ჯოჯოხეთი ხომ არ არის, ბიბლიური ხასიათის სასჯელის მსგავსი რამო, ნამდვილად კი სწორედ ყველა ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ნაწარმოების თანმდევი, მისი წიაღიდან შუქივით ამოფრქვეული პოეზიის დღესასწაულია (რასაკვირველია, ჟანრი არ იგულისხმება!).




ამ წიგნის წაკითხვის მერე, შთაბეჭდილების გრანდიოზულობის გამო, დათრგუნულები კი არ ვრჩებით, მორალისტის ხმელი, მოკაკვული თითი კი არ გვიკაკუნებს კეფაზე, არამედ ადამიანის სულის იდუმალ სივრცეთა უსაზღვროებას ვეზიარებით, თითქოსდა საოცრად ხალისიანი შუქით ივსება ჩვენი არსება...

**26.06.16**

**რედაქციისგან:** **თანამედროვე ქართული მწერლობის კლასიკოსი, თვალსაჩინო მწერალი თამაზ ჭილაძე „ქართულ რაბლეზე“ რომ ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს გამომცემლობა „ბაკმის“ მიერ „გარგანტუა და პანტაგრუელის“ (890 გვ.) 2013 წლის გამოცემა, რაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით მოხდა. წიგნის რედაქტორები არიან რუსუდან მოსიძე და ნანა ტონია (ბერძნულ-ლათინური ტექსტი) მხატვრული რედაქტორია ბონდო მაცაბერიძე, მხატვარი დავით აფციაური (ყდა, სუპერი), გამოცემაზე მუშაობდნენ მარიკა მიქელაძე, გია მახნიაშვილი, ლელა ბოჭორიშვილი, ამირან ქინქლაძე.**

**აქვე უთუოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულ რაბლეზე მაღალი შეხედულებისა იყო თვით დიდი ოთარ ჭილაძეც, დღეს უკვე მთაწმინდის ბინადარი.**

## „საქართველოს ევროპული გზების“ წარდგინება ათენში

ათენში, ევროკომისიის საბერძნეთის წარმომადგენლობის საკონფერენციო დარბაზში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით გამოცემული ინგლისურენოვანი კრებულის „Georgia's European Ways“ პრეზენტაცია გაიმართა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, ღონისძიებას ათენში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. მოწვეულ სტუმრებს კრებული ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა წარუდგინა. ქართულ-ევროპულ კულტურულ იდენტობასა და ისტორიულ პარალელებზე გაამახვილა ყურადღება წიგნის რედაქტორმა, მწერალმა ზურაბ ქარუმიძემ. **„უმბერტო ეკოს ერთხელ ჰკითხეს – რომელია მთავარი ევროპული ენა? და მან უპასუხა – თარგმანი. სწორედაც ასეა – ისტორიულად ევროპაში თავს იყრიდა აბსოლუტურად განსხვავებული კულტურები, ჰიბრიდულობა იყო მუდმივად ევროპის ჭეშმარიტი ბუნება და ისტორიული მისია. ამ წიგნის გამოცემით ჩვენ გვინდა მხარი დავუჭიროთ ამ მისიას“,** – აღნიშნა პრეზენტაციის დასასრულს მწერალმა.

დავით ბაქრაძემ და ზურაბ ქარუმიძემ მოწვეული სტუმრების შეკითხვებსაც უპასუხეს. ღონისძიება საბერძნეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა.

# „დონ ჟუანი“ „ვისრამიანისა“ და „ოდისეას“ კვალზე

## საკაცობრიო ეპოსი ქართულ სამყაროში

მსოფლიო რანგის ეპოსთაგან აქამდე რამდენიმე ნიმუში იყო თარგმნილი ქართულად არა ლექსად, არამედ პროზაულ ვერსიად, მათ შორის **უცნობი მთარგმნელის** მიერ გადმოღებული **ფახრ ედ-დინ გორგანის „ვისრამიანი“** და **ზურაბ კიკნაძისა** და **თამაზ ჩხენკელის** მიერ ამეტყველებული **ჰომეროსის „ოდისეა“**.

და აი, ამ ნიმუშებს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით შეემატა **ლორდ ბაირონის „დონ ჟუანიც“** – (**„ჩვენი მწერლობისა“ და ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობის** ერთობლივი პროექტი) – **პაატა** და **როსტომ ჩხეიძეების** მიერ თარგმნილი, ლიტერატორებისა, რომელთაც თავის დროზე ლექსად (პავლე **ინგოროყვას** მიერ აღმოჩენილი ძველქართული საზომით: წყობილი სიტყვა) გადმოიღეს **ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი „ბეოვულფი“** და არც „დონ ჟუანის“ პოეტური ორეულის შექმნა უნდა გაძნელებოდათ, მაგრამ შეგნებულად დაადგნენ ქართული „ვისრამიანითა“ და „ოდისეათი“ გაკვალულ გზას, რაკიღა ლორდ ბაირონის ეს ეპიკური თხზულება სწორედაც რომ თანამედროვე რომანად წარმოდგება და ჩვენს დროში ბაირონი პროზად ამჯობინებდა მის შექმნას.

თავის დროზე **ოთარ ჩხეიძე** აპირებდა „დონ ჟუანის“ თარგმნას თეთრ ლექსად და ჭაშნიკად გადმოღებული **„მიძღვნა“** (რომელიც გალექსილი პოლემიკური სტატია უფროა) კიდეც ჩართო ბიოგრაფიულ რომანში **„იტალიური დღიურები ბაირონისა“,** მაგრამ რაკიღა ამ ეპოსის გადმოღება იმხელა დროსა და ენერგიას მოითხოვდა მისგან, რომ ერთ ორიგინალურ რომანს გაწვდებოდა, ისევ საკუთარი რომანის დაწერა ამჯობინა, თუმც ახალგაზრდები კი შეაგულიანა მის სათარგმნელად, აზიარა ლორდ ბაირონის პოეზიის სიბრძნესა და სილამაზეს, შეიყვანა ამ მომნუსხველ სამყაროში და სრულყოფილად განაცდევინა „დონ ჟუანის“ მხატვრული ძალმოსილებაც.

ამიტომაც ეძღვნება ამ საკაცობრიო ქმნილების ქართული ორეული ოთარ ჩხეიძის ხსოვნას.

როდესაც ამ ეპოსს ქმნიდა, ლორდ ბაირონი – **ჰომეროსის** კვალობაზე – 24 ქებად ჩაიფიქრებდა, თუმც მასთან შეჯიბრი არ გამოუვიდოდა, რაკიღა ნაადრევი და ტრაგიკული აღსასრულის გამო მე-17 სიმღერაზე შეუწყდებოდა და... სამწუხაროდ, მკითხველი ვეღარ მიადევნებს თვალს დონ ჟუანის მღელვარე, დრამატულ, ათასგვარი ფათერაკით აღსავსე თავგადასავლს – მეტად მძაფრ ეპიზოდში რომ წყდება... მაგრამ დაუმთავრებლობა ვერაფერს აკლებს ამ დიდებულ ნიმუშს, ისევე როგორც დაუმთავრებელია ერთი მხრივ, **მიქელანჯელო ბუონაროტის** ქანდაკებანი თუ **ლორენს სტერნის „ტრისტრამ შენდის, ჯენტლმენის, ცხოვრება და შეხედულებანი“,** და მეორე მხრივ, **ფრანც კაფკას** სამივე რომანი – **„პროცესი“, „გოდოლი“ და „ამერიკა“** – თუ **რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“...**




გარეკანზე გამოტანილია **იოჰან ვოლფგანგ გოეთეს** სიტყვები, გაზიარებული **ეკერმანთან** 1825 წლის 24 თებერვალს, დიად გენიოსად და განუზომელი ტალანტის პატრონად რომ მოიხსენიებს ლორდ ბაირონს და დასძენს:

„ვერ დავასახელებ ვერცერთ კაცს, ვინც მისებრი გამომხატველი იქნებოდა თანამედროვე პოეტური ეპოქისა. ეჭვგარეშეა, იგი ჩვენი საუკუნის უდიადეს გენიოსად უნდა მივიჩნიოთ. ბაირონი არც ანტიკურია და არც რომანტიკული, არამედ ისეთი, როგორიც დღევანდელი დღე. ის გახლდათ ისეთი კაცი, როგორიც მე მჭირდებოდა. მომწონდა მისი დაუკმაყოფილებელი ბუნებაც და ომისადმი მიდრეკილებაც, რამაც შეიწირა კიდეც მისოლუნგიში“.

**ვირჯინია ვულფი,** მოდერნისტული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელი, „დონ ჟუანს“ თავის დღიურში მოიხსენიებს ერთ ყველაზე საკითხავ პოემად, დღესდღეობით კი მკვლევარები გულმოდგინედ ცდილობენ მისი ჟანრობრივი თავისებურების დაზუსტებას, ზოგი კომიკურ ეპოსად რომ მიიჩნევს, ზოგი დამცინავ, უარყოფის თუ სატირულ ეპოსებადაც, ის კი არა, ანტიეპოსადაც შეურაცხავთ.

მთარგმნელებისათვის კი განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ **ენ მელორი** ირონიულ ეპიკურ რომანად მოიხსენიებს, ელიზაბეთ ბოილი კი – გალექსილ პიკარესკულ რომანად (თუმც მის „პიკარესკულობას“ არ იზიარებენ).

პროზად გადმოღების მართებულობაში დაარწმუნებდათ ისიც, რომ **ალექსანდრ პუშკინის „ევგენი ონეგინს“,** რომელიც უშუალოდ ლორდ ბაირონის ამ ეპოსის გავლენით შეიქმნა (ისევე როგორც მისი დრამატული პოემა **„დონ ჟუანი ანუ ქვის სტუმარი“**) ამგვარი მინაწერი ახლავს: რომანი ლექსად.

თხრობის ყველაზე შესაფერისი რიტმის მისაგნებად მთარგმნელებს საკმაოდ დიდხანს მოუწიათ მუშაობა და სხვადასხვა სტილისტიკის მოსინჯვა. და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე საჭაშნიკოდ გამოიტანეს „მიძღვნა“, რამაც დამსწრეთა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და პირველივე გამამხნევებელმა და მოწონების სიტყვებმა ცხადი გახადა, რომ მთავარი უკვე მოძებნილი გახლდათ და „დონ ჟუანის“ ქართული თხრობა ბუნებრივ და ძალდაუტანებელ კალაპოტში წარიმართებოდა.

და კიდეც გამოჩნდებოდა დროდადრო ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** ფურცლებზე ახალი და ახალი თავი. ასე რომ, ლორდ ბაირონის ამ ეპიკური ქმნილების ნახევარზე მეტი წიგნად გამოცემამდეც ხელმისაწვდომი შეიქნებოდა მკითხველისათვის.

**„მედია-ნიუსის“** ჟურნალისტთან საუბრისას **პაატა ჩხეიძემ** ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ლორდ ბაირონი თავისი **„ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობითა“** და **„დონ ჟუანით“** XX საუკუნის მოდერნისტულ პროზასაც განსაზღვრავს, არამცთუ პოეზიას, და ამ მხრივ საგანგებოდაა საკვლევ-საძიებელი და დასაზუსტებელი ბევრი ის საერთო, რაც ბაირონსა და თუნდ **ჯეიმზ ჯოისს** შორის არსებობს. და არც ისაა შემთხვევითი, რომ **„ულისეც“** ჰომეროსის გამოჯიბრებით შეიქმნა და თავდაპირველად ირლანდიელ-ინგლისელ მწერალსაც რომანის სტრუქტურა 24 თავად ჰქონდა განზრახული.

**როსტომ ჩხეიძემ** კი უპირველესად იმას მიაქცია ყურადღება, რომ მიუხედავად მოარული სიუჟეტისა, რომლის ქარგაზეც არაერთი მხატვრული ქმნილება (**ჟან-ბატისტ მოლიერისა** თუ **პროსპერ მერიმესი...**) და **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის** ოპერაა შეთხზული, ლორდ ბაირონის ეპიკურ ნაწარმოებში ისე უხვადაა შეტანილი ავტობიოგრაფიული მასალა, რომ მისი „დონ ჟუანი“ ავტობიოგრაფიულ რომანადაც კი წარმოგვიდგება.

დასძინა ისიც, რომ ამ ქმნილების ქართულად ამეტყველება მათი სიჭაბუკის ერთ-ერთი ოცნება გახლდათ, რომელიც ბოლო წლების თავდაუზოგავი გარჯით აიხდინეს.

**გრიგოლ ერისთავი**
**„მედია-ნიუსი“**

# როგორ დავისვენე 90-იან წლებში ჩარჩენილ აფხაზეთში?

**რუსული გამოცემა „Челны“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია აფხაზეთში დასვენების შუქ-ჩრდილები, ერთ-ერთი რუსი ტურისტის - ქალაქ ნაბერეჟნიე ჩელნის მცხოვრების შთაბეჭდილებების საფუძველზე.**

ულიანა აფხაზეთში უკანასკნელად 12 წლის წინათ იყო, მანამდე კი თურქეთსა და ეგვიპტეში ისვენებდა ხოლმე. მაგრამ რადგანაც დღეს პოლიტიკური მიზეზების გამო ორივე მიმართულება დახურულია, მან გადაწყვიტა, აფხაზეთი კვლავ მოენახულებინა.

**„ვიფიქრე, რომ ამდენი ხნის განმავლობაში სოხუმი, გაგრა და ბიჭვინთა შეიცვლებოდა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მსგავსი არაფერი არ მომხდარა: აფხაზეთი 1990-იან წლებშია „გაჭედილი“. დღემდე ჯერ კიდევ ბევრია გაძარცული და უპატრონოდ მიტოვებული შენობა, გზები ისევ დანგრეულია. ადგილობრივი მოსახლეობა თავს იმართლებს — რა ვქნათ, ომის ბრალიაო, მაგრამ ომის დასრულებიდან ხომ 20 წელი გავიდა? მომსახურების დონით, რა თქმა უნდა, აფხაზეთი თურქეთს და ეგვიპტეს ბევრად ჩამოუვარდება, მაგრამ ბუნების სილამაზით მას ბადალი არ ჰყავს. მართალია, ბოლო დროს აფხაზეთშიც გაჩნდა სამვარსკვლავიანი, საშუალო დონის ოტელები და პანსიონატები, თუმცა ფასები საშუალოზე ბევრად მაღალია.**

**გაგრა აფხაზეთში ტურისტთა ყველაზე პოპულარული თავშეყრის ადგილია - აქაა ძველებური, ციხე-კოშკების სტილით ნაგები შენობები, ბევრია კაფებარები, რესტორნები... ყველაფერი, პლაჟების გარდა. გაგრის საანაპირო უპატრონოდ მიტოვებულს ჰგავს: ირგვლივ ნაგავია, ტუალეტებში კი ჯობია, არ შეხვიდეთ... უბრალო მოაჯირებიც კი არაა შეღებილი, ჟანგისაგანაა შეჭმული. განა ამას დიდი თანხები ჭირდება? აფხაზეთისათვის გადარიცხული რუსული დოტაციები კი მილიარდებს აღწევს. გამოდის, რომ შარშან მოწყობილ საპროტესტო აქციებს, როცა აფხაზებმა ხელისუფლება კორუფციაში დაადანაშაულეს, საფუძველი ნამდვილად ჰქონდა.**

**გუდაუთა აფხაზეთში ტურისტებისათვის ყველაზე იაფი ადგილია, მაგრამ აქ არანაირი ღირსშესანიშნაობა არ არის. პოპულარობით ფრო მეტად ბიჭვინთა გამოირჩევა, ბევრი რუსი ტურისტიც სწორედ აქ ისვენებს. ახალი ათონში კი აფხაზეთის მასშტაბით ყველაზე მეტი სიძვირეა. რაც შეეხება აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმს, ტურისტს იქ არაფერი ესაქმება: ქალაქი სავსეა ნახევრადდანგრეული შენობებით და სარკმელჩალეწილი ბინებით“,** — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში საუბარია აგრეთვე აფხაზეთის ტურისტულ მარშრუტებზე, ტრასპორტზე, ფასებზე, ბუნების ღირსშესანიშნაობებზე. **„აფხაზები და გზაზე მოძრაობის წესები ერთმანეთთან შეუთავსებელია. ყველა ისე დადის, როგორც სურს. ბანკომატები არ არის, ამიტომ თანხა ნაღდი ფულის სახით უნდა წაიღოთ, უმჯობესია წვრილი კუპიურებით. მობილური ტელეფონისთვის ადგილობრივი სიმ-ბარათი შეიძინეთ. ინტერნეტი ყველგან ფასიანია. თვითონ აფხაზები კეთილი, მომღიმარი და კოლორიტული ხალხია, მაგრამ იმავდროულად ზარმაცები და თავს არაფრით ივალდებულებენ. საქართველოს ხსენება არ სიამოვნებთ, მაგრამ სამაგიეროდ უყვართ ყბედობა გეოპოლიტიკაზე და მსოფლიო კრიზისზე. მოსახლეობის დიდი უმეტესობა აშკარად ღარიბულად ცხოვრობს, მაგრამ ქუჩებში ძვირად ღირებულ უცხოური მარკის ავტომანქანებსაც დაინახავთ, ადგილობრივი ნომრებით. მოკლედ, აფხაზეთში ტურისტებისთვის მინუსებია: მომსახურების ძალიან დაბალი დონე, ცუდი საცხოვრებელი პირობები, რუსი გოგონებისადმი აფხაზი კაცების მომაბეზრებელი „ყურადღება“... პლიუსები: განუმეორებელი, უმშვენიერესი ბუნება, ზღვა და გემრიელი საჭმელები...“.**

**ლენარ ბატირშინი**

## თურქეთმა განაცხადა მზადყოფნა, გადაიხადოს კომპენსაცია რუსული სუ-24-ის ჩამოგდების გამო

ასეთი განცხადება გააკეთა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბინალი იილდირიმ. მისი სიტყვებით, ორივე ქვეყანას სურს ურთიერთობათა ნორმალიზება და კომპენსაცია დაეხმარება მხარეებს უფრო მალე გამოსწორდეს ვითარება.

## თურქეთში აფეთქების შედეგად 8 ადამიანი დაშავდა

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინცია დიარბაქირში მომხდარი აფეთქების შედეგად 8 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ორი პოლიციელი. აფეთქება სახელმწიფო საავადმყოფოს მახლობლად მაშინ მოხდა, როდესაც იქიდან ჯავშნიანი პოლიციის მანქანა გამოდიოდა.

Reuters-ი აღნიშნავს, რომ თურქ სამხედროებზე და სამართალდამცავებზე თავდასხმები გასული ივლისის შემდეგ გახშირდა, მას შემდეგ, როდესაც თურქეთსა და ქურთისტანის მუშათა პარტიას შორის არსებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2-წლიანი შეთანხმება დაირღვა.

ქურთისტანის მუშათა პარტიამ, რომელსაც ამერიკა და ევროკავშირი ტერორისტულ დაჯგუფებად იხსენიებს, ქურთისტანის ავტონომიის მოსაპოვებლად ბრძოლა რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო. კონფლიქტის პიკის - 1990 წლის შემდეგ, ბოლო თვეებში გახშირებული ძალადობა ყველაზე ინტენსიურია.

## კალიფორნიაში ცდილობენ, გადაარჩინონ სისფერი ვეშაპი, რომელიც თევზსაჭერ ბადეში მოხვდა

მომხდარი ამბის ადგილისაკენ გაგზავნეს ფედერალური დონის ექსპერტთა გუნდი. ოკეანისა და ატმოსფერული კვლევის ეროვნულ სამმართველოში მიაჩნიათ, რომ იგივე ვეშაპი შენიშნეს კვირას 26 ივნისს, თითქმის 50 კილომეტრის დაშორებით ნაპირიდან სან-დიეგოში. დანა-პოინტში ცხოველი მიცურდა გაცილებით უფრო ახლოს ნაპირთან, რამაც საშუალება მისცა გადამრჩენლებს, დაეწყოთ გადასარჩენი ოპერაცია.

## ლიტვას ბრექსიტის გამო ანტირუსული სანქციების შესუსტების ეშინია

ამასთან დაკავშირებით ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკიავიჩუსმა მოუწოდა ევროკავშირის ქვეყნებს, ნუ ააჩქარებენ ბრიტანეთს ევროკაშვირიდან გამოსვლასთან დაკავშირებით. „ჩვენ გვინდოდა, შეგვენარჩუნებინა ის, რაც ჯერ კიდევ არაა დანგრეული, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება“, — ხაზგასმით აღნიშნა ლიტველმა დიპლომატმა.

## „დიდი ბრიტანეთი ვერ შეინარჩუნებს პრივილეგიებს, ევროკავშირის დატოვების შემდეგ“ - ანგელა მერკელი

კანცლერის თქმით, უნდა იყოს და იქნება კიდეც შესამჩნევი განსხვავება, ევროკავშირის წევრობასა და მის არაწევრობას შორის.

გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, დიდი ბრიტანეთი ვერ შეინარჩუნებს ევროკავშირის წევრობის პრივილეგიებს ორგანიზაციის წინაშე ვალდებულებებზე უარის თქმის შემდეგ. ამის შესახებ, მერკელმა ბუნდესტაგში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. კანცლერის თქმით, უნდა იყოს და იქნება კიდეც შესამჩნევი განსხვავება, ევროკავშირის წევრობასა და მის არაწევრობას შორის.

გერმანიის კანცლერის განცხადებით, დიდი ბრიტანეთის ინტერესებშია, რომ გაერთიანების დატოვების შემდეგ, ევროკავშირთან ახლო ურთიერთობები შეინარჩუნოს. მისი თქმით, დიდ ბრიტანეთთან ევროკავშირიდან გასვლაზე მოლაპარაკებები იქამდე არ უნდა დაიწყოს, სანამ ლონდონი შესაბამის ფორმალურ პროცედურას არ აამოქმედებს. გერმანიის კანცლერმა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ერთიანობისკენ მოუწოდა და პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ევროკავშირის დაშლა არ დაუშვას.

## გერმანიაში წამოიწყეს სისხლის სამართლის საქმე ქვეყნის პრეზიდენტზე დანით ხელში ნაცისტის თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით

ინციდენტი მოხდა ქალაქ ზებნიცში (საქსონიის ფედერალური მიწა). პოლიტიკოსის ვიზიტის დროს იქ შეიკრიბნენ მომიტინგეები, რომლებიც გაუკის მისამართით გაჰყვიროდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, ერთ-ერთმა მათგანმა კი მას რაღაც საგანიც ესროლა.

## გაერო: იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც სჭირდებათ პუმანიტარული დახმარება მსოფლიოში, გაიზარდა რეკორდულ 130 მილიონამდე

შარშან დეკემბერში გაერო და მისი პარტნიორები მიმართავდნენ ქვეყნებსა და კერძო დონორებს მოწოდებით — გამოჰყონ 19,7 მილიარდი დოლარი 86,6 მილიონი ადამიანისათვის დახმარების გასაწევად. ახლა უკვე საუბრობენ იმის შესახებ, რომ საჭიროა, გადაირიცხოს 21,6 მილიარდი დოლარი. ამ დროისათვის დახმარების ფონდში უკვე შემოვიდა 5,5 მილიარდი დოლარი.

## ირლანდიის გაერთიანების მოწოდების ფონზე ელისაბედ მეორემ ჩრდილოეთი ირლანდიის ჩინოვნიკებს შეახსენა, რომ ის „ჯერ ისევ ცოცხალია“

ბრიტანეთში საბედისწერო რეფერენდუმის შემდეგ, რომელზეც მოქალაქეთა უმრავლესობამ ხმა მისცა ბრექსიტს, დედოფალი გაემგზავრა ორდღიანი ვიზიტით ჩრდილოეთ ირლანდიაში. რეგიონის პირველი მინისტრის მოადგილე შეეკითხა ელისაბედ მეორეს თუ როგორაა იგი. „რას იზამ, ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ“, — უპასუხა დედოფალმა.

## იემენში აფეთქებების სერიების შედეგად 40-ზე მეტი კაცი დაიღუპა

ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ისლამური სახელმწიფო“ იკისრა პასუხისმგებლობა აფეთქებებისათვის, აგრეთვე განაცხადა 8 დაღუპული თვითმკვლელის შესახებ, რომელთა შეტაკების მსხვერპლი 50 კაცი გახდა. ადგილობრივი ხელისუფლება, თვითმხილველებზე მითითებით იტყობინება 5 შეტევის შესახებ ქალაქის ოთხ რაიონში.

## EGYPTAIR-ის ლაინერის კატასტროფასთან დაკავშირებით, საქმე მასობრივი მკვლელობის მუხლით აღიძრა

პარიზის პროკურატურამ ავიაკომპანია EgyptAir-ის კუთვნილი ლაინერის ჩამოვარდნასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც „ბიბისი“, პროკურატურის პრესსამსახურზე დაყრდნობით იტყობინება, საქმე მასობრივი მკვლელობის მუხლით აღიძრა. გამოძიება ჯერჯერობით შავ ყუთებს სწავლობს, რომელიც პარიზში ჩაიტანეს.

ავიაკომპანია Egypt Air-ის კუთვნილი სამგზავრო Airbus A320, რომელიც ფრანგეთ პარიზიდან კაიროს მიმართულებით ასრულებდა , კაიროს საჰაერო სივრცესთან მოახლოებისას 19 მაისს გაუჩინარდა. თვითმფრინავის ბორტზე 66 ადამიანი — 56 მგზავრი და ეკიპაჟის 10 წევრი იმყოფებოდა. ორდღიანი ძებნის შემდეგ, გაუჩინარებული ლაინერის ფრაგმენტები და მგზავრთა პირადი ნივთები ხმელთაშუა ზღვაში, ქალაქ ალექსანდრიიდან ჩრდილოეთით, 290 კილომეტრში აღმოაჩინეს.

◎ ერთი საღამოს რეპორტაჟი

# სიურპრიზებითა და სიყვარულით სავსე დღე

**„საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი“ 2000 წელს დაარსდა და ბატონი რევო მშვიდობაძე ამ კავშირის დაარსების ინიციატორი და დღემდე მისი უცვლელი თავმჯდომარე გახლდათ. ვის უნდა სცოდნოდა, თუ რა რთული პროფესია აქვთ მის კოლეგებს, თუ არა მას, რომელმაც რკინიგზის ელექტრომომარაგების სოხუმის უბნის წევის ქვესადგურის ელექტრომონტიორიდან დაიწყო მუშაობა და უამრავი საპასუხისმგებლო თანამდებობა გამოიცვალა თავისი 60-წლიანი შრომითი კარიერის მანძილზე. იგი გახლავთ საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი, ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი. მისი ეიმედებათ არა მარტო ვეტერან, მასთან თანშეზრდილ ცნობილ მუშაკებს, არამედ ახალგაზრდებსაც, დარგის მეცნიერ-მუშაკებს, პროფესორებსა და აკადემიკოსებს. ჩვეული იუმორით, მხნედ, ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ბატონი რევო იმითაც ამაყობს, რომ სწორედ მისი წაბაძვით მსგავსი ორგანიზაციები ჩამოყალიბდა უკრაინაში (2003 წ.), რუსეთში, უზბეკეთში. „სხვა დარგის მუშაკებმაც მომბაძეს, მაგრამ ვერ შეძლეს, ალბათ ენერგეტიკოსებს ყველაზე მეტი ენერგია გვაქვსო“ — ხუმრობს ბატონი რევო და თავისი ამ რანგში თავმჯდომერობის მანძილზე, ტრადიციისამებრ ჩვეული გულუხვობითა და სიყვარულით უკვე მერამდენედ აჯილდოვებს დარგის ვეტერან იუბილარებს.**



სიურპრიზები შემდეგ იქნებაო — მეუბნება და უკვე მის ამქარში გაშინაურებულს, რადგან მის ყოველ საგულისხმო ინიციატივასა თუ ღონისძიებას ვაშუქებ, როგორც თავად ბრძანებს, ამ კავშირის ერთ-ერთი სპონსორი ორგანიზაციის — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი.

სპონსორები ვახსენე და იმ უამრავ სასიკეთო წამოწყებას, კავშირი 300-ზე მეტი ვეტერანისთვის რომ ახერხებს, რა აუვა თუ არა მონდომებითა და სურვილებით გამოჩენილი გვერდში მდგომი ორგანიზაციები — **„სახელმწიფო ელექტროსისტემა“, „სემეკი“, „საქენერგო“, „თელასი“, „ენერგო პრო ჯორჯია“, „მტკვარი-ენერგეტიკა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ენერგეტიკის აკადემია, ენერგეტიკის კოორპორაცია და ენერგეტიკის პროფკავშირი**. რაც მთავარია, უპირველესი და მართლაც აღსანიშნავია ენერგეტიკის სამინისტრო და მისი ხელმძღვანელი, ბატონი **კახი კალაძე**. ეგ ერთადერთი მინისტრია, რომელიც არა მარტო გვერდში გვიდგას ვეტერანებს, არამედ ჩვენს ღონისძიებებსაც შეძლებისდაგვარად ესწრებოდა და ფინანსურადაც თავისივე დანაზოგით გვეხმარებოდა და ახლაც გვერდში გვიდგასო.

გვერდში დგომა კი მართლაც სჭირდებათ ჩვენს ვეტერანებს, მათი უმეტესობა ქართველ ენერგეტიკოსთა მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლები არიან, ნახევარ საუკუნეზე მეტი შრომითი სტაჟითა და ასაკით ოთხ ათეულს გადაცილებულნი.

„მარტო წლეულს, ექვსი თვის მანძილზე ოცდაათზე მეტ ვეტერანს მივულოცეთ საიუბილეო თარიღი, 3 და 8 მარტს ოთხმოცამდე ვეტერან ქალბატონს ფასიანი საჩუქრები მივუძღვენით, 12 ვეტერანს მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ფულადი დახმარება გავუწიეთ, სამახსოვრო საჩუქრებითა და ფულადი წახალისებით დავასაჩუქრეთ სამამულო ომის მონაწილე ენერგეტიკოსები, სულ 7 კოლეგა შემოგვრჩა იმ საშინელომგამოვლილი, ახლა ექსკურსიები, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები და არა მარტო საიბუილეო თარიღები, არამედ ჩვეულებრივი დაბადების დღეებიც არ გვავიწყდებაო.

მართალიცაა კავშირის თავმჯდომარე, სამასამდე წევრი ვეტერანთა კავშირისა, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით ცხოვრობს, მისთვის ახლობელია. არა მარტო მათი შრომითი მოღვაწეობა, არამედ ოჯახის მდგომარეობაც იცის და შეძლებისდაგვარად ეხმარება კიდეც.

იმდღევანდელი ვეტერანთა თავყრილობაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა — ჩვიდმეტი ვეტერანი გახლდათ იუბილარი (ვეტერანებად კი პენსიონერი ენერგეტიკოსები ითვლებიან, რომელთა სამუშაო სტაჟი ორმოცი წლიდან იწყება და უმეტესად სამოც წელსაცაა გადაცილებული) უპრიანი იქნება, ჩვენო მკითხველო, ყველა მათგანი გაგაცნოთ, რათა მათ სამშობლოსა და თავიანთი დარგის წინაშე უდიდესი დამსახურება აქვთ. იმ დღეს სიხარულს ვერ მალავდნენ ქალბატონები **მარია ტრიასინა, გალინა კრიცკაია, მანანა ხიმშიაშვილი, მარგარიტა გეორგაძე, ნანული ჩიხლაძე,** ბატონები **კლიმენტი ზანთარაია, დავით ელიაშვილი, ზაურ გიუტაშვილი, გივი დოლიძე, თეიმურაზ კახიძე, ნაუმ ნებიერიძე, კონსტანტინე ბოდოკია, ირაკლი მესხიშვილი, ზურაბ ზვიადაძე, ალექსანდრე მინდიაშვილი, ირაკლი ლომიძე და...** ბატონი რევო, რომელიც თავად გახლდათ იუბილარი და მეგობრებთან ერთად 85 წლის იუბილეს ზეიმობდა.

მართლაც გულისამაჩუყებელი საღამო გამოვიდა. ვეტერანი კოლეგები ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა **გია არაბიძემ** და **შალვა ნაჭყებიამ,** ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსმა **ანზორ ჭითანავამ,** ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ **იაშა ბოლქვაძემ** და მისმა კოლეგებმა დააჯილდოვეს.

ტრადიციისთვის არც წლეულს უღალატიათ და სპეციალური დიპლომები და საჩუქრები გადასცეს ტექნიკური უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს, მომავალ ენერგეტიკოსებს **თეონა შუკაკიძეს, ეთერ ტეტუნაშვილს, გიორგი ჩადუნელს** და **ირაკლი ფაცაციას**.

იუბილარ ვეტერანთა ასაკი არ აღმინიშნავს, მხოლოდ ორ მათგანს გამოვყოფ — უხუცეს ენერგეტიკოსებს ქალბატონ მარია ტრიასინასა და კლიმენტი ზანთარაიას, რომლებმაც მეგობრებთან ერთად 90 წლის იუბილე აღნიშნეს.

ბოლოს, სანამ კოლეგებს სადღესასწაულო სუფრაზე მიიწვევდა, ბატონმა რევომ ჩვეული იუმორით, დაიწყო — **დილით, რომ გავიღვიძე, სანამ ჩვეულებრივად ვივარჯიშებდი, ფეხებში ცოტა სისუსტე ვიგრძენი, გავიფიქრე ალბათ მოვხუცდი და დროა, დავისვენო, ჩემი საქმე ახლა ჩემმა მოადგილემ იაშა ბოლქვაძემ სჯობს, გააგრძელოს, შედარებით ახალგაზრდა კაცია, წლებია, ერთად მოვდივართ, ენერგეტიკაში 40 წელია, მუშაობს, 14 წელი „საქრუსენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე იყო, თან სპორტის ოსტატია მძლეოსნობაში, ჩემზე ენერგიულია და საქმესაც ახალგაზრდულად გაუძღვება, ჯერ მხოლოდ 73 წლისაა. დღეს სუფრას უთამადოს, ხვალიდან ჩვენ მოგვხედოს ვეტერანებსო.**

ეს იყო ბატონი რევოს სიურპრიზი.

**ღმერთმა მრავალ საიუბილეო თარიღს მოგასწროთ, ჩვენო ვეტერანებო.**

**მამუკა ვაშაკიძე.**

**გივი ხოლბორდის ფოტო.**

**სურათზე: რევო მშვიდობაძე; იუბილარი ვეტერანები და მომავალი ენერგეტიკოსი სტუდენტები.**

# გუდაბერტყას ნამოსახლარი ვერაფერს დაგვიმალავს...

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ და შიდა ქართლის გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარემ დავით ონიაშვილმა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებს სვენეთსა და ახალშენს შორის მდებარე გუდაბერტყას ნამოსახლარზე მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები დაათვალიერეს.**

კულტურის სამინისტროს ცნობით, მასშტაბური არქეოლოგიური სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და გორის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება. ნამოსახლარზე მიმდინარე გათხრებს არქეოლოგი გოგი მინდიაშვილი ხელმძღვანელობს.

გუდაბერტყას არქეოლოგიური გათხრები მნიშვნელოვანი ობიექტია ტურისტული თვალსაზრისით. ამ არქეოლოგიურ საიტზე მისულ ტურისტებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ როგორც უკვე აღმოჩენილ არტეფაქტებს, ასევე დაათვალიერონ არქეოლოგიური გათხრების პროცესიც. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე, სანახაობრივი თვალსაზრისით ეფექტური უბნების გამოსავლენი შესარჩევი სამუშაოებიც მიმდინარეობს, რომლებიც შემდგომში დაკონსერვდება და ტურისტული ობიექტის მოთხოვნების შესაბამისად ადაპტირდება.

# თბილისის ახალი შემოვლითი გზა

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი თბილისის ახალი შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტზე მუშაობას იწყებს, რომელიც ნატახტრიდან რუსთავამდე და ნატახტრიდან ჟინვალამდე სრულიად ახალი, ალტერნატიული ჩქაროსნული გზის მშენებლობას ითვალისწინებს.**

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტის მოსამზადებლად საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისთვის ტენდერი უკვე გამოცხადდა. საპროექტო სამუშაოებს აზიის განვითარების ბანკი რამდენიმე მილიონი ლარით დააფინანსებს.

თბილისის ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა განტვირთავს ქალაქს სატრანზიტო მოძრაობისაგან და მნიშვნელოვანია, როგორც სატრანზიტო გადამზიდავებისთვის, ასევე თბილისის მოქალაქეებისათვის.

# სიცხეში ქვეწარმავლები გააქტიურდნენ

**ზაფხულის დადგომასა და ტემპერატურის მატებასთან ერთად, ქვეწარმავლები სოროებიდან გამოდიან და აქტიურ ცხოვრებას იწყებენ. გამონაკლისი არც წლევანდელი ზაფხულია. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში ქვეწარმავლის გამოჩენასთან დაკავშირებით, 112-ში ივნისის თვეში 307 გამოძახება დაფიქსირდა, მაისში ეს რიცხვი 219 იყო, აპრილში კი გამოძახებების რაოდენობამ 40 შეადგინა. ჯამში, 2016 წლის იანვრიდან მოყოლებული ივნისის ჩათვლით, თბილისში ქვეწარმავლების აღმოჩენასთან დაკავშირებით 112-ში 572 შეტყობინება შევიდა.**

როგორც მედიანიუსს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში განუცხადეს, მოსახლეობაში პანიკის საფუძველი არ არის. სააგენტოს რეკომენდაციით, მოქალაქეებმა ქვეწარმავლის დანახვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დარეკონ 112-ში და თავი შეიკავონ აქტიური ქმედებისგან. სააგენტოს ინფორმაციით, წელს ქვეწარმავლის მხრიდან მოქალაქეების დაკბენის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

**ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში გამოძახებებზე მისულ ბრიგადას უმეტესად არაშხამიანი გველები ხვდება, თუმცა ყოფილა გიურზას აღმოჩენის შემთხვევებიც.**

◎ ევრო – 2016

# ესპანეთი - იქა, ისლანდია - აქა!

**როგორც ყველა ზღაპარი, ევროპულ ფეხბურთში ესპანელთა ჰეგემონიაც დასრულდა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდა – მას შემდეგ, რაც სანაკრებო კარიერა ხავიმ და ვილიამ დაასრულეს, ასეთი ფინიში ადვილად სავარაუდო იყო.**

სიმბოლურია, რომ ვისენტე დელ ბოსკეს ერთ დროს უძლეველ გუნდს წირვა მისი ახალგაზრდა და ამბიციური კოლეგის ანტონიო კონტეს გაწვრთნილმა განახლებულმა „სკუადრა აძურამ“ გამოუყვანა, რომლის დაცვით ბასტიონებსაც „იუვენტუსის“ შეუუვალი ძველი გვარდია იცავდა უბერებელი მეკარის ბუფონის თავკაცობით, მეტოქის რბევა კი ჯაკერინმ, ედერმა, პაროლომ და კომპანიამ განახორციელეს.

როგორც მოგეხსენებათ, თითოეულ ფორუმს თავისი სიმშვიდის დამრღვევი ჰყავს. ამჯერად ეს მისია მოკრძალებულმა პატარა ისლანდიამ იტვირთა, სადაც, გამოჩენილი ინგლისელი ბომბარდირის გარი ლინეკერის ფრთოსანი გამოთქმისა არ იყოს, ვულკანების რაოდენობა ფეხბურთით პროფესიულად დაკავებულთა რიცხვს აღემატება.

ისე, მართლაც საინტერესოა, სკანდინავიელთა მორიგი მსხვერპლი მასპინძელი საფრანგეთი ხომ არ იქნება, რომელსაც მორიგ ეტაპზე დისკვალიფიცირებული დაცვისა და ნახევარდაცვის ბურჯები – რამი და კანტე დააკლდებიან.

**მერვედფინალები**

**იტალია – ესპანეთი 2:0.**

**გოლები:** კიელინი, პელე.

**ისლანდია – ინგლისი 2:1.**

**გოლები:** რუნი (პენალტით); სიგურდსონი, სიკტორსონი.

**ნახევარფინალში ითამაშებენ:** პოლონეთი – პორტუგალია (30 ივნისი); ბელგია – უელსი (1 ივლისი), გერმანია – იტალია (2 ივლისი), საფრანგეთი – ისლანდია (3 ივლისი).

**გიორგი ზოთაძე**

◎ მერე რა...

# პადუმაეშ, დაიქცა ქვეყანა

**რამდენიმე დღეა, საფეხბურთო სამყაროში ერთი ამბავია ატეხილი – არიქა, მესიმ სანაკრებო კარიერა დაასრულაო.**

ამთავითვე ვიტყვი – მერე რა მოხდა, ლეოც ჩვეულებრივი მოკვდავია და სრული უფლება აქვს, როცა მოეპრიანება, მაშინ გადადგას ესა თუ ის, თუნდაც არაორდინარული ნაბიჯი, მით უმეტეს „თეთრლურჯი“ მაისურით განცდილი პერმანენტული დამარცხებების შემდგომ (უკანასკნელი – ჩილესთან კოპა ამერიკის ფინალში პენალტების სერიაში – 2:4).

რატომღაც არავინ იხსენებს, რომ სანაკრებო ტიტულები არც ისეთ ლეგენდებს ღირსებიათ, როგორიც დი სტეფანო, ეუსებიო ან კრუიფი არიან, მაგრამ ამით მათ დიდებას საფრთხე არასდროს დამუქრებია.

ჰო, მართლა – მესი ოლიმპიური ჩემპიონი მაინც არის.

ასე რომ, ცხელ გულზე გენიალური არგენტინელის მიერ წამოსროლილ წინადადებას გადაჭარბებულ ყურადღებას ნუ მივაქცევთ და იმედი ვიქონიოთ, რომ მისი ტალანტი ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების შემდეგაც გაიბრწყინებს.

**კოზა კოზახიძე**

◎ სამეგრელოს მხარე

# დიდი ზეიმი სენაკში

**გასულ საუკუნეში ცხენოსნობა სენაკის რაიონში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აქ ეროვნულ სახეობებში – ისინდში, ცხენბურთში, ყაბახში, დოღსა თუ მარულაში საასპარეზოდ მხედრები მთელი საქართველოდან იყრიდნენ თავს, საგანგებოდ გავარჯიშებული ცხენები გამოჰყავდათ. მერე ტრადიციები ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა, იპოდრომიც გაპარტახდა.**

და აი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის (გუბერნატორი ლევან შონია) და სენაკის მუნიციპალიტეტის

გამგეობის (გამგებელი გოჩა დგებუაძე) ინიციატივით სამეგრელოში ცხენოსნობის აღორძინება იწყება. 25 ივნისს სენაკის განახლებულ იპოდრომზე 10.000-ზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი. „მარულა 2016-ს“ დაესწრნენ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. გიორგი კვირიკაშვილმა ღონისძიების ორგანიზატორებს, თითოეულ მონაწილეს ცხენოსნობის აღორძინების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და გამოთქვა იმედი, რომ სენაკი გახდება ცხენოსნობის ერთ-ერთი ცენტრი საქართველოში.

პრემიერ-მინისტრმა მოინახულა აკაკი ხორავას სახელობის დრამატული სახელმწიფო თეატრი, რომელშიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. თეატრის რეკონსტრუქცია საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით ხორციელდება და ისტორიული შენობის რეაბილიტაციისთვის, რომელიც 2017 წელს დასრულდება, მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

გიორგი კვირიკაშვილი იმავე დღეს სენაკის რაიონში ცემენტის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობისთვის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალსაც დაესწრო. ქართულ-ჩინური საინვესტიციო პროექტი 120 მილიონი დოლარის ღირებულებისაა და სამშენებლო ტერიტორია 20 ჰექტარზე მეტს მოიცავს. მშენებლობის დასრულების შემდეგ ქარხანა წლიურად 900 ათას ტონა კლინკერის ცემენტსა და 1.5 მილიონ ტონა მაღალი ხარისხის ცემენტს გამოიმუშავებს, დასაქმდება 500-მდე ადგილობრივი მუშახელი. ქარხანა აღიჭურვება თანამედროვე ტექნოლოგიებით და იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას...

რაც შეეხება სენაკის განახლებულ იპოდრომზე გამართულ სპორტულ ღონისძიებას, გულშემატკივრებმა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მხედრების მონაწილეობით საინტერესო ორთაბრძოლები იხილეს. ისინდში სენაკისა და აბაშის გაერთიანებულმა გუნდმა სამტრედიისა და მარტვილის ნაკრებს აჯობა – 15:11. ცხენბურთშიც ამ გუნდების დაპირისპირებაში სენაკისა და აბაშის წარმომადგენლებმა იმარჯვეს – 13:7. დანარჩენ სახეობებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**კონკური.** 1. დავით დუნდუა (თბილისი), 2. გიორგი ძინძიბაძე (ბათუმი), 3. მერაბ სამუშია (ფოთი), გეგი მეტონიძე, გიორგი ქევხიშვილი (ორივე – თბილისი).

**დოღი 1600 მეტრზე:** 1. ნარიმან ემინოვი (ზუგდიდი), 2. ოთარ ჭელიძე (ოზურგეთი), 3. ბაჩანა სიმონია (აბაშა).

**დოღი 2400 მეტრზე:** 1. ცოტნე ლაბაშია (სენაკი), 2. ნარიმან ემინოვი (ბათუმი), 3. ვარდენ კიკაჩეიშვილი (სამტრედია).

„მარულა 2016“ ქართულმა ჭიდაობამაც დაამშვენა. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო – ბეჭდაუდები ფალავნის – ნესტორ ესებუას სამშობლოში დიდ ზეიმს ჩოხოსანთა ორთაბრძოლების გარეშე ჩაევლო. კვარცხლბეკზე ავიდნენ:

**უფროსებში.** 1. გიორგი ზაქარიაძე (სამტრედია), 2. უჩა მარგიანი (სამტრედია), 3. გიორგი ქავთარაძე (მარტვილი).

**უმცროსებში.** 1. გიორგი ფუტკარაძე (სენაკი), 2. გიორგი მორგოშია (ჩხოროწყუ), 3. გიორგი კუპრეიშვილი (სენაკი).

ყველა სახეობაში გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და თასებით დაჯილდოვდნენ. სეოკ-ის სამხარეო ოლიმპიური ორგანიზაციის თასი სამტრედიელ ვეტერან მხედარს, 71 წლის პავლე კაპანაძეს ხვდა, ხოლო გამორჩეულ სპორტსმენებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების, რაგბის კავშირის, ასევე, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ პრეზიდენტ რომან ფიფიას მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრები და ფულადი პრიზები გადაეცათ.

**ვაჟა დანელია**

**ავტორის ფოტო.**

◎ რეტრო

# „მოდიმნახე“

**ყურაშვილების გვარიდან კარგი მოჭიდავის სახელი ჰქონდა გავარდნილი ნორიოელ მჭედლიაანთ იასონა ყურაშვილს, რომელიც ერთხელ ცირკის დათვსაც კი დაეჭიდა და წააქცია.**

ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს 1979 წლის ჩემპიონია სოხუმელი გია ყურაშვილი, საქართველოს ორგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში ოთარ ყურაშვილი საერთაშორისო კლასის მსაჯია სამბოში. 1993 წლის 5 ივლისს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს სოფელ კომანის იოანე ოქროპირის სახელობის ერთადერთ მოქმედ ტაძარში აფხაზი და დაქირავებული „ბოევიკები“ შეცვივდნენ და იკითხეს – ეს მიწა ქართველებისაა თუ აფხაზებისო. მამა ანდრიამ უპასუხა – მიწა ღვთისაა! ამ სიტყვების შემდეგ მამა ანდრია (ერისკაცობაში – პაატა ყურაშვილი), რომელიც მღვდელთმსახურებამდე მოჭიდავე იყო, იქვე დახვრიტეს. იგი ბაღდათში დაიბადა, იქ ეზიარა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას მწვრთნელ თეიმურაზ ვაშაყმაძესთან და საქართველოს პირველობის პრიზიორიც გახდა.



ძველ ჟურნალ-გაზეთებს თუ გადავავლებთ თვალს, სპორტულ ქრონიკებში ამოვიკითხავთ ფალავან „მოდიმნახეს“, რომლის ნამდვილი გვარ-სახელი ბევრმა ქომაგმა არც კი იცოდა.

„მოდიმნახე“, იგივე – დიმიტრი ყურაშვილი (1912-1984) დიდი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ ხოვლეში (კასპი) დაიბადა. მამამისი დავითი ლეჩხუმის სოფელ უყურეშიდან (ცაგერი) გადმოსულა და დამკვიდრებულა შიდა ქართლში. დიმიტრი თბილისში, ავლაბრის უბანში დავაჟკაცდა, იქვე დაიწყო ქართული ჭიდაობის ილეთების სწავლაც.

უწინ საქართველოს დედაქალაქში საჭიდაო მოედნები მოწყობილი იყო ფიქრის გორაზე – (არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის კოშკთან). „ტამოჟნიაზე“ (რკინიგზის სადგურთან), გრიშუას ბაღში (დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინ), ხუდადოვის ქუჩაზე (ნაძალადევში) მახათას მთაზე, გოგილოს აბანოსთან, მთაწმინდაზე, ანჩისხატის ტაძართან, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან.

ფალავანი „მოდიმნახე“ (ყურაშვილი) წარმატებით ჭიდაობდა ცნობილ საჭიდაოებზე. მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ხოჯევანქის მოედანზე, სადაც ერთმანეთის მიყოლებით ბეჭებზე გაიკრა საქვეყნოდ აღიარებული მორკინალები. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ხალხში, რომლებიც ამბობდნენ – ნეტავ ვინ არის ის ახალგაზრდა, ასე რომ ყოჩაღობს ფალავანთა წრეშიო. მაშინ დიმიტრი ყურაშვილმა ქომაგებს ასეთი პასუხი გასცა – მოდით, მნახეთ და გამომცადეთ მოედანზეო! სწორედ ხოჯევანქის (ავლაბრის) საჭიდაოზე აღიარების შემდეგ დაერქვა დიმიტრი ყურაშვილს ფსევდონიმი – „მოდიმნახე“.

ფალავანი „მოდიმნახე“ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძალზე მამაცი და სამართლიანი კაცი იყო. ერთხელ მრავალშვილიანი ებრაელი მეზობლები ჭიჭოშვილების ცნობილი ბანდის ყაჩაღური თავდასხმისგან იხსნა და ბანდის ოთხკაციან ჯგუფს შავი დღე აყარა. შემდგომში არც არასრულწლოვან გოგონაზე მოძალადე ერთი მილიციელი დაინდო...

ჭიდაობის გარდა „მოდიმნახე“ კარგი მოთხილამურეც იყო. საშუალო სიმაღლის, ჩაფსკვნილდაკუნთული, ქვრივ-ობოლთა შემწე და დამხმარე გახლდათ.

მეორე მსოფლიო ომში გმირულად იბრძოლა, ბლომად ორდენები დაიმსახურა. იაპონიის და ფინეთის ომშიც წინა ხაზზე იყო; სხვათა შორის, ომის შემდეგ ფინეთის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს. ხშირად იწვევდნენ მას ფინელები თავისთან...

ფალავანმა „მოდიმნახემ“ საქართველოს დედაქალაქში საპასუხისმგებლო თანამდებობებზეც იშრომა, დიდხანს იყო თბილისის მარგარინის ქარხნის და ნავთლუღის ბაზრის დირექტორი. მეორე მსოფლიო ომიდან შინ დაბრუნებული დიმიტრი ყურაშვილის სანახავად თბილისის სხვადასხვა უბნებიდან მოდიოდნენ ავლაბარში – „მოდიმნახე“ ჩამოსულა, „მოდიმნახე“ ცოცხალიაო!..

ბავშვებისთვის მუდამ კამფეტები ეწყო ჯიბეში. თბილისში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ენები იცოდა. ამბობენ, მარცხენე ანუ „ცაცია“იყოო. ის საოცრად გემოვნებიანი, კოპწია და მეოჯახე კაცი გახლდათ, რომელსაც დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ შავი ზღვის ქუჩის ძველი მცხოვრებლები. სწორედ ფალავან „მოდიმნახეზეა“ ნათქვამი – აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!..

**გაბრიელ ბარჯაძე,**

**სურათზე: ფალავანი „მოდიმნახე“ 24 წლის ასაკში.**

SIC!

# სპეკულანტური ქაოსი ფარმაცევტულ ბიზნესში!

## მედიკამენტები ერთდროულად იაფდება და ძვირდება?!

**ბოლო** თვეების განმავლობაში მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება. მოსახლეობა ამტკიცებს, რომ ფასები მომატებულია. მკვლევარები მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საპირისპირო მონაცემების გამოქვეყნებით იყვნენ დაკავებულნი. რამდენიმე დღის წინ კი თავად ბაზრის მონიტორებმაც განსხვავებული მონაცემები წარუდგინეს საზოგადოებას.

ჯანდაცვის პლატფორმა ბოლო პერიოდში მუდმივად აქვეყნებს მოსახლეობისთვის საჭირო და საინტერესო, აფთიაქებში შემავალი მედიკამენტების სიასა და ფასს.

ორგანიზაციამ მაისში საბავშვო და პირველადი აფთიაქის გამოქვეყნების შემდეგ შეისწავლა ოჯახის აფთიაქში შემავალი მედიკამენტების სია და ფასი. მონაცემები 4 წამყვან საფთიაქო ქსელში გადამოწმდა. შედეგად დადგინდა, რომ აპრილთან შედარებით შემცირებულია ამ ჯგუფის აფთიაქში შემავალი მედიკამენტების ფასი. აპრილის თვეში ამ აფთიაქის შევსება შესაძლებელი იყო 115 ლარად, მაისის თვის მონაცემებით კი ამისათვის უკვე 106 ლარია საკმარისი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფასები საშუალოდ 7.8%-ით არის შემცირებული. აპრილში აქსესუარების საშუალო ფასი შეადგენდა 25 ლარს, მაისის თვეში კი 19 ლარს. შემცირებულია ასევე მედიკამენტებისა და ანტისეპტიკური საშუალებების საშუალო ფასი. მთლიანობაში ოჯახის აფთიაქის აპრილსა და მაისში აღრიცხული ღირებულების სხვაობა 9 ლარს შეადგენს.

მაისში შემცირებულია ფასი 6 მედიკამენტზე, გაზრდილია 2-ზე, დანარჩენზე ფასი უცვლელია.

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ კი სხვაგვარ მონაცემებს გვთავაზობს. აფგასს უკანასკნელი კვლევის მიხედვით, ინდექსი 17,43%-ით გაიზარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მედიკამენტების ბაზარზე ფასები მნიშვნელოვნად არის მომატებული. 200 დასახელების მედიკამენტიდან, რაც წარმოადგენს დაკვირვების ობიექტს, 78 მათგანზე ფასები გაზრდილია, ხოლო 6-ზე უმნიშვნელოდ შემცირებული, რამაც „ფანასკერტელის ინდექსის“ ზრდა განაპირობა.**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რამდენიმე გარემოება, რამაც მაისში მედიკამენტების გაძვირება განაპირობა:

პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია ფარმაცევტული კომპანიების მიერ მოგების მაქსიმიზაციისკენ მიმართულ სტრატეგიასთან, რაც როგორც წესი, სხვადასხვა მარკეტინგული აქციებით, ან ფასების ზრდით მიიღწევა. აფთიაქებმა, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ ხერხს მიმართეს და მას შემდეგ, რაც 6 თვის განმავლობაში ძირითადად კლება შეინიშნებოდა, კვლავ გაზარდეს ფასი, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ფარმაცევტული კომპანიები ფასებით საკმაოდ მოხერხებულად მანიპულირებენ.

კვლევის დაწყების პირველ ეტაპზე, როდესაც ბაზარზე ახალი ძლიერი მოთამაშე გამოჩნდა „ჰუმანითი ჯორჯიას“ სახით, ფარმაცევტული კომპანიების ხელმძღვანელობამ ერთობლივად განაცხადეს, რომ ბაზრის დივერსიფიცირება მათთვის მნიშვნელოვანი და მისასალმებელი იყო, ვინაიდან „ჰუმანითი ჯორჯიამ“ გენერიული დასახელების მედიკამენტები მომხმარებლებს მინიმუმ 30%-ით გაიაფებული შესთავაზა, უკვე არსებულმა კომპანიებმა საპასუხოდ მნიშვნელოვნად დაწიეს ფასები და ამის აქტიურ პიარკამპანიასაც ეწეოდნენ და რაც დაადასტურა კიდეც „ფანასკერტელის ინდექსმა“, მაგრამ დაახლოებით 5 თვის გასვლის შემდეგ, როდესაც „ჰუმანითი ჯორჯიას“ ეფექტი გაქრა, კომპანიებმაც არ დააყოვნეს და მედიკამენტებზე ფასები ისევ გაზარდეს“, — აცხადებენ აფბაში.

**ბექა დანელია**

---

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონი თამაზ ცინცაძის მეუღლე და ბატონი ბონდო ქობულიას და, ქალბატონი**

**იზოლდა ქობულია-ცინცაძისა**

**და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.**

---

**სპარტაკ, მანანა, ლაშა, რუსუდან ქობულიები თანაუგრძნობენ უახლოეს ნათესავსა და მეგობარს ბონდო ქობულიას ძვირფასი დის, დაუვიწყარი ქალბატონის**

**იზოლდა ქობულია-ცინცაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია თანაუგრძნობენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ძველ მეგობარს და ავტორს, შესანიშნავ მკურნალს, პროფესორ ბონდო ქობულიას დის, უკეთილშობილესი ქალბატონის**

**იზოლდა ქობულია-ცინცაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, ახალგაზრდა თაობების აღმზრდელი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი**

**ზაურ კვარაცხელია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

## აღმოაჩინეს არადეკლარირებული ოქრო

**25 ივნისს საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“ მებაჟე ოფიცრებმა 87.11 გრამი არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. ნივთები უკრაინის მოქალაქეს, ეჭვის საფუძველზე სხეულის სკანერით დათვალიერების შედეგად უპოვეს.**

არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულებამ 4626.14 ლარი შეადგინა.

## საბაჟოზე ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები შემოჰქონდათ

**18-26 ივნისს, საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტებში აკრძალულ მედიკამენტთა ნუსხაში შეტანილი, ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტების შემოტანის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა.** საბაჟო გამშვები პუნქტების: სარფისა და კარწახის გავლით მოქალაქეებს აღმოუჩინეს ჯამში 109 აბი ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები.

---

კალათბურთი

# ესეც ძლიერი გუნდია, მაგრამ...

**გასაკვირი** არ იქნება, თუ წელს აშშ-ის ნაკრები ვერ შეძლებს რიო დე-ჟანეიროს ოლიმპიადის მოგებას. ამ დღეებში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კიდევ ოთხმა ვარსკვლავმა თქვა უარი ზაფხულის თამაშებში მონაწილეობაზე.

ერთ-ერთი გახლავთ „კლივლენდის“ ლიდერი ლებრონ ჯეიმსი. ფორვარდს კონკრეტული მიზეზი არ დაუსახელებია, თუმცა, ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ დაძაბული და გრძელი სეზონის შემდეგ დასვენება სჭირდება.

პარალელურად, რიოში გამგზავრებაზე უარი თქვეს კავაი ლეონარდმა („სან ანტონიო“), დამიენ ლილარდმა („პორტლენდი“) და ანდრე დრამონდმა („დეტროიტი“). სამივეს ახალი სეზონისთვის უკეთ მომზადება სურს. ასევე არ მიდის ოლიმპიადაზე „იუტას“ ფორვარდი გორდონ ჰეიგორდი, რომელიც მეორე შვილის დაბადებას ელოდება და არ სურს ამ მნიშვნელოვანი მომენტის გამოტოვება.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ნაკრებში თამაშზე უარი თქვეს სტივენ კარიმ, ბრედლი ბილმა, ენტონი დევისმა, რასელ უესტბრუკმა, კრის პოლმა, ბლეიკ გრიფინმა და ლამარკუს ოლდრიჯმა.

და აი, გუშინ აშშ-ის კალათბურთის ფედერაციამ დაასახელა ის 12 რჩეული, რომელიც რიოში ოთხი წლის წინ მოპოვებული ტიტულის შენარჩუნებას შეეცდება.

**მცველები** — კაირი ირვინგი („კლივლენდი“), ჯიმი ბატლერი („ჩიკაგო“), კაილ ლოური, დემარ დეროზანი (ორივე — „ტორონტო“), კლეი ტომპსონი („გოლდენ სტეიტი“);

**ფორვარდები** — კევინ დურანტი („ოკლაჰომა“), ჰარისონ ბარნსი, დრეიმონდ გრინი (ორივე — „გოლდენ სტეიტი“), პოლ ჯორჯი („ინდიანა“), კარმელო ენტონი („ნიუ იორკი“);

**ცენტრები** — დეანდრე ჯორდანი („კლიპერსი“), დემარკუს კაზინსი („საკრამენტო“).

**ვიტალი ჯაფარიძე**

---

კვების საიდუმლოება

# „თეფშის მოდელი“

**გახდომა გსურთ და თავს მკაცრი დიეტის დაცვით იტანჯავთ? აბა, სცადეთ და „თეფშის მოდელის“ მეთოდით დაიგდეთ ჭარბი წონა!**

### უნივერსალური მიდგომა

„თეფშის მოდელი“ ფინელმა დიეტოლოგებმა მოიგონეს, მისი მეშვეობით ათასობით ადამიანმა ჭარბი კილოგრამების დაგდება შეძლეს და სწორად კვება ისწავლეს. ეს, არსებითად, დიეტა კი არა, არამედ კვების ყოვლისმომცველი პრინციპებია — ადვილად შესასრულებელი ფუძემდებლური წესები, რომლებიც მკაცრ შეზღუდვებს არ გულისხმობს: ჭამა ყველაფრისა შეიძლება, ოღონდ გარკვეული ულუფებით. „თეფშის მოდელის“ გამოყენება ყველგან შეგიძლიათ — შინ, სტუმრად, დასვენებისას, შვედურ მაგიდასთან.

### „აწყობის“ ინსტრუქცია

აიღეთ 20-24 სანტიმეტრის დიამეტრის სადილის საინი. გუნებაში ის შუაზე, შემდეგ ერთი ნახევარი კიდევ შუაზე გაყავით, რის შედეგად სამ ნაწილს — თეფშის ერთ ნახევარსა და ორ მეოთხედს მიიღებთ.

ნახევარი ბოსტნეულით, ერთი მეოთხედი რთული ნახშირბადიანი — წიწიბურით, ბრინჯით, კარტოფილით, მაკარონით, მეორე კი ცილებიანი საკვებით — საქონლის, ღორის, ცხვრის ხორცით ან ფრინველის ხორცით, თევზით, ზღვის პროდუქტებით, სოიოს ნაწარმით, ლებნიანებით შეავსეთ.

### საგულისხმო წესები

**საიმისოდ, რომ „თეფშის მოდელი“ უფრო ეფექტიანი იყოს, საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსის გათვალისწინება:**

**● თეფშზე რაც უფრო მეტი ბოსტნეულია, ორგანიზმისთვის უკეთესია, რადგან ის თან დანაყრების გრძნობას იწვევს, თანაც ნაკლებ კალორიას შეიცავს. ოღონდ მთავარია, მათ ბევრი ზეთი ან ცხიმიანი საწებელი არ მოასხათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩანაფიქრს აზრი ეკარგება;**

**● რთული ნახშირბადების შემცველი გარნირის ოდენობა 120-150 გრამს არ უნდა აღემატებოდეს. ესაა ორი კარტოფილის ბოლქვი, ანდა მოხარშული მაკარონის, ფაფის, ბრინჯის ჭიქის სამი მეოთხედი. გარნირი ცხიმის მინიმალური ოდენობით უნდა მოამზადოთ და მსუბუქი საწებლით შეკმაზოთ.**

**● ხორცი და თევზეული უცხიმო უნდა იყოს. მათ შემცვლელად გამოდგება კვერცხი, სოკო, ლებნიანები, სოიო, ხაჭო, უცხიმო ყველი. ხორცის ან თევზის ნაჭერი ზომით ბანქოს ქაღალდს არ უნდა აღემატებოდეს (80-120 გრამი), ქონის უბნები კი უნდა მიაჭრათ.**

**● „თეფშის მოდელით“ დღეში ორჯერ უნდა იკვებოთ — სადილობისას და ვახშმობისას. ამას დამატებით სჭირდება საუზმე და შუალედებში მსუბუქი წახემსება.**

**● ჭამის შემდეგ შეგიძლიათ, ჩაროზიც მიირთვათ. გახდომის მსურველთათვის ესაა ორიოდე ნაჭერი მარმელადი ან ერთი ნაჭერი ზეფირი.**

მოამზადა

**ოთარ ტურაბელიძემ**

გთხოვთ, დაეხმაროთ 18 წლის მარიამ ირემაძეს, რომელსაც ავტოავარიის შედეგად მიღებული ტრავმის გამო ფეხის შესანარჩუნებლად ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია საზღვარგარეთ.

ანგარიშის ნომერია:

GE22BG
0000000670865800

მიმღები
ირმა კანდელაკი

# „ლოგომედში“ აჭიკჭიკებული პატარები

**კლინიკა „ლოგომედის“ შესახებ, რომელიც სულხან-საბას ქუჩაზე მდებარეობს, მეგობრებისგან მაშინ შევიტყვე, როდესაც ჩემი ტყუპი ვაჟებიდან ერთ-ერთს, რენის შევამჩნიეთ, რომ მეტყველების დროს პრობლემები ჰქონდა. ძმისგან, დათასგან განსხვავებით დინჯი და სერიოზული რენი ბევრი ლაპარა-**

**კით არ იჩენდა ინიციატივას და თავდაპირველად ეს მის სიზარმაცეს მივაწერეთ, მაგრამ როდესაც რამდენიმე „სავალდებულო“ სიტყვა წარმოთქვა, რომლებიც პატარებს სჩვევიათ, დეფექტი სახეზე იყო.**

„ლოგომედის“ ხელმძღვანელმა, ყურადღებიანმა და გულისხმიერმა ქალბატონმა ეკა ჭავჭავაძემ ჩვეული პროფესიონალიზმით გასინჯა პატარა, დაგვაიმედა, რომ ამ პრობლემას შეძლებისდაგვარად წარმატებით მოაგვარებდა და ბავშვს ექიმ-მასწავლებლად მაია ჭავჭავაძე დაუნიშნა. რამდენიმე პროცედურის შემდეგ შედეგმაც არ დააყოვნა. მოგეხსენებათ, არა მარტო პატარებს, არამედ ჩვენც – დიდებს, ექიმთან მისვლისას არასასიამოვნო გრძნობა გვეუფლება, მაგრამ „ლოგომედელებთან“ ეს პრობლემა აბსოლუტურად მოხსნილია. ამაში იმ უამრავი ბავშვის მშობელი დამეთანხმება, რომელთა პატარებმაც ქალბატონ ეკასთან სრული კურსი გაიარეს და ისინიც, ვინც ამჟამად მკურნალობენ. ბავშვები ხალისით და სიხარულით მიიჩქარიან კლინიკაში, რაც მკურნალი ექიმების სითბოსა და ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების შედეგია. მადლობა მათ ასეთი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის.

პატივისცემით
გია გაბრიჭიძე

# მზეზე ამოფრქვევა, ქარიშხალი „ღვთაებრივი ქარი“ და სხვა

**ბევრი ჩვენგანი, შესაძლოა, არც არასდროს დაფიქრებულა იმაზე, თუ როგორია სიტყვა „ამინდის“ განმარტება. ესაა მოცემულ არეალში განსაზღვრულ დროში ატმოსფეროს მდგომარეობა – ჰაერის ტემპერატურა, წნევა, ღრუბლიანობა, ტენიანობა, ნალექები.**

ქარი, ღრუბლები, წვიმა, თოვლი, სეტყვა, ნისლი, ქარიშხალი, ქარბუქი და ა.შ. – ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენებია. მათგან იშვიათთა რიცხვს განეკუთვნებიან სტიქიური უბედურებები, ვთქვათ, ტორნადო, გრიგალი;



ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა – ცელსიუსის შკალის – 89,2 გრადუსი – 1983 წლის 21 ივლისს ანტარქტიდის სადგურ „ვოსტოკში“ აღინიშნა, ყველაზე მაღალი კი – ცელსიუსის +58 გრადუსი – 1922 წლის 13 სექტემბერს ლიბიაში; ყოველ საათს დედამიწაზე 760 ელჭექია; ადამიანზე ყველაზე დიდ ზეგავლენას ატმოსფერული წნევის მერყეობა ახდენს – ცვლილებები ორგანიზმის უჯრედების მემბრანებზე ზემოქმედებს; მეტეოდამოკიდებულების შესახებ ჰიპოკრატე ჯერ კიდევ ჩ.წ.აღ.-მდე 400 წლით ადრე ლაპარაკობდა; ადამიანთა 30-დან 40 პროცენტამდე მეტეოდამოკიდებულია, თუმცა კი მეტეოროლოგიური პირობების ცვლილება ცუდად მოქმედებს ხანდაზმულთა 80 პროცენტზე; გაზაფხულ-ზაფხულში, ზამთართან შედარებით, გულის სისხლძარღვთა დაავადებებისგან სიკვდილიანობა 40 პროცენტით ნაკლებია; ატმოსფერული წნევის დროს სნეულ ადამიანებში იზრდება შაკიკის შეტევათა რიცხვი; მზეზე ყოველ ამოფრქვევას დედამიწაზე საშუალოდ ოთხი ათასი კაცის სიცოცხლე ეწირება; წლის თბილ დროს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაცილებით ბევრი ბიჭი ისახება; ამინდს არაერთხელ შეუცვლია ისტორიის მსვლელობა. მაგალითად, 1281 წელს ტაიფუნმა „კამიკაძემ“ („ღვთაებრივმა ქარმა“) იაპონია მონღოლთა ფლოტის შემოსევისგან იხსნა. 1565 წელს კი ქარიშხალმა ფლორიდის ნაპირებთან საფრანგეთის ფლოტი გაანადგურა, რითაც ესპანეთს საკვანძო ციხე-სიმაგრის ფორტ კაროლინის დაპყრობის საშუალება მისცა; მომხმარებლები ინტერნეტში ყველაზე ხშირად სიტყვა „ამინდს“ ეძებენ.

# ქალბატონებს ლუდი არ არგებთ!

**სპირტიანი სასმელების მოყვარული ქალები, ფსორიაზით არამსმელებზე 72 პროცენტით უფრო ხშირად ავადდებიან, აცხადებენ ბრიტანელი მკვლევარები.**

მათ გადაწყვიტეს, გაერკვიათ, ალკოჰოლის რომელი სახეობა მოქმედებს უფრო მეტად ქალის ორგანიზმზე. ასეთი მუქი ლუდი აღმოჩნდა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ქერის გამო ხდება, რომელიც ფსორიაზის მიზეზია. ღია ლუდის წარმოებაში ქერს ნაკლებად იყენებენ, რაც ქალის კანზე მის უვნებლობას განაპირობებს.

# სარგებლის მომტანი ყველი

**ავადმყოფობის შემდეგ ყველი კვირაში 3-4-ჯერ მაინც უნდა მიირთვათ, გვირჩევენ იტალიელი დიეტოლოგები.**

ყველი ავადმყოფობით დასუსტებულ ორგანიზმს ცილებით, ცხიმებითა და ამინომჟავებით კვებავს. ცილები ძალთა აღსადგენადაა საჭირო, ამინომჟავები – ნორმალური ნივთიერებათა ცვლის უზრუნველსაყოფად, უჯრედთა განსაახლებლად. გარდა ამისა, ყველი გუნებასაც აუმჯობესებს.

როგორც მაგარი, ასევე რბილ ყველი ბევრ ვიტამინს შეიცავს. კერძოდ, ვიტამინი A უზრუნველყოფს კანის სიჯანმრთელეს, $B_2$-ის წყალობით ორგანიზმი ენერგიას გამოიმუშავებს და ქსოვილების სუნთქვის პროცესსა და უჯრედულ მიმოცვლაში მონაწილეობს.

# მარად ახალგაზრდა აფრიკელები

**მეცნიერებმა გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისგან კანის დამცველი უჯრედები აღმოაჩინეს.**

„ახალგაზრდობის“ გენები მკვლევარებმა ყოველ მეათე ევროპელსა და მონღოლოიდს დაუდგინეს, ხოლო აფრიკელებში ყოველ მეხუთეს. საგულისხმოა, რომ კვლევის შედეგით ყველაზე მეტად... კოსმეტოლოგები დაინტერესდნენ.

# მაისის ნაბოძები ჯანმრთელობა

**მედიკოსთა დაკვირვებით, ადამიანის დაბადების თვე, ზოგჯერ, მის მომავალ სნეულებებს განაპირობებს.**

1,5 მილიონი სამედიცინო ბარათის გაანალიზების შედეგად მკვლევარებმა დაბადების თარიღსა და 55 პათოლოგიას შორის კავშირი დაადგინეს. აღმოჩნდა, რომ გულის დაავადებების საფრთხის წინაშე არიან მარტში დაბადებულები, ასთმისა – ივლისსა და ოქტომბერში.

ყველაზე ჯანმრთელი ადამიანები კი, თურმე, მაისში იბადებიან.


## განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.


## ◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **რატომ** გსურს ცოლთან განქორწინება? – ეკითხება მიხოს მოსამართლე.

– იგი ღამღამობით ხშირად მაღვიძებს და მეჩურჩულება: „ადექი, დროა, სახლში წახვიდე!“

* * *

**მივიდა** ტიპი მთავარანგელოზთან.

– დაქორწინებული იყავი? – ეკითხება იგი.

– სამჯერ.

– ჯოჯოხეთში გაუშვით.

– რატომ ჯოჯოხეთში? ვინც ერთხელ იყო დაქორწინებული, ყველა სამოთხეში გაუშვით, მე ჯოჯოხეთში მიშვებთ?

– სამოთხე წამებულთათვისაა და არა იდიოტებისთვის.

* * *

– **ახალგაზრდავ,** რად მიპაჭუნებთ ერთთავად თვალს? – ეკითხება ქალი.

– ეს წიკია, ჩვევაა.

– უჰ, შე არამზადა და მატყუარავ! მე კიდევ უკვე განვეწყე!!!

* * *

– **წარმოგიდგენია,** ერთმა ტიპმა 50 ათასი დოლარი უანდერძა ერთ ქალს, რომელმაც მას 40 წლის წინათ ცოლობაზე უარი უთხრა.

– ჰო-ჰო-ჰო, აი, ეს მესმის... მადლიერებაც ამას ჰქვია!

* * *

**მძღოლის** სამახსოვრო:

1. გაატარეთ თეთრ ხელჯოხიანი ადამიანები – ისინი ცუდად ხედავენ.

2. გაატარეთ სელფის ჯოხიანი ადამიანები – ისინი საერთოდ ვერაფერს ვერ ხედავენ.

3: თავი აარიდეთ ზოლიანი ჯოხების მქონეთ – ისინი ყველაფერს ხედავენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გამოიწერეთ:**
**6 თვით – 60 ლარი,**
**1 წლით – 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434


## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.243; ევრო - 2.560;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.343;
100 რუბლი - 3.496; თურქული ლირა - 0.781;
აზერბაიჯანული მანათი - 1.454;
1000 სომხური დრამი - 5.709

## ამინდი 29 ივნისისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +15, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +31 |
| **თბილისი:** | ღამე +18, | დღე +31 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE